

23/01/2025



MES 6 25 0000047292

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 30.12.2024

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 20:00 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: თამარ ლომინაძე (II-III საკითხი)

სხდომის თავმჯდომარე: გოჩა თუთბერიძე (I საკითხი)

საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27² მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **თამარ ლომინაძე** - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე**;
2. **გოჩა თუთბერიძე** - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**;
3. **დავით ტეფნაძე** - შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი**;
4. **გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
6. **აკაკი ხელაძე** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. **დიმიტრი ჯაფარიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;
9. **ვასილ კიკუტაძე** - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
10. **დიანა მჭედლიშვილი** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
11. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
13. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის“ აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
14. **გიორგი მირიანაშვილი** - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ქრისტინე აბულაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:

დავით მახვილაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

ხათუნა მხეიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე;

ივანე ჯაგოდნიშვილი - საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი;

ეკატერინე შაკიაშვილი - საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

მეუფე ანანია ჯაფარიძე - თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი;

ლევან მათეშვილი - „თეოლოგია-საქართველოს ეკლესიის ისტორია“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი:

მამუკა თავხელიძე - რექტორი;

ვახტანგ ჭარაია - ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი;

თენგიზ თაქთაქიშვილი - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამების (მენეჯმენტი; მარკეტინგი) ხელმძღვანელი;

ნათია დაღელიშვილი - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;

თამარ გამსახურდია - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო (ფინანსები) და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი;

მოგელი შენგელია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი:

გიორგი გვალია - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი;

ნინო ჟვანია - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნიკოლოზ ყაველაშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანი;

ეკატერინე კვინიკაძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ნინო ამირანაშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ნინო პატარაია - პროგრამის ხელმძღვანელი;

თამარ მაღალაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;

გიორგი ხიშტოვანი - პროგრამის ხელმძღვანელი;

სოფიო ლებანიძე - პროგრამის ხელმძღვანელი;

გიორგი პაპავა - პროგრამის ხელმძღვანელი;

მაია ბიწაძე - ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

მარიამ კიკნაველიძე - ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;

ანა თოფურია - ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

მილტიადის ვანცოსი (Miltiadis Vantsos) (I საკითხი);

ცოტნე ჩხეიძე (I საკითხი);

თამთა ცხოვრებაძე (I საკითხი);

ნათია მაღალაშვილი (I საკითხი);

ანუ ანნა ჯოსანი (Anu Anna Jossan) (II საკითხი);

ეკა გეგეშიძე (II, III საკითხები);

ეკატერინე ნაცვლიშვილი (II, III საკითხები);

ნინო დგვეფაძე (II საკითხი);

ნათია გეგელაშვილი (II საკითხი);

მაია ჭინჭარაშვილი (III საკითხი);

სანდრო ტაბატაძე (III საკითხი);

გიორგი ფარეშიშვილი (III საკითხი).

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომა გახსნა და უხელმძღვანელა გოჩა თუთბერიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიით შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "თეოლოგია-საქართველოს ეკლესიის ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი)“ საბაკალავრო (180 კრედიტიანი), „ბიზნესის ადმინისტრირების (მარკეტინგი)“ საბაკალავრო (180 კრედიტიანი), „ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები)“ საბაკალავრო (180 კრედიტიანი), „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო, „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო და „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)", "მენეჯმენტის", "მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი და "მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების, "მენეჯმენტის", "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი, "ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "თეოლოგია-საქართველოს ეკლესიის ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი)“ საბაკალავრო (180 კრედიტიანი), „ბიზნესის ადმინისტრირების (მარკეტინგი)“ საბაკალავრო (180 კრედიტიანი), „ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები)“ საბაკალავრო (180 კრედიტიანი), „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო, „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო და „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)", "მენეჯმენტის", "მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი და "მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების, "მენეჯმენტის", "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი, "ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "თეოლოგია-საქართველოს ეკლესიის ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - თეოლოგია-საქართველოს ეკლესიის ისტორია
2. საფეხური - დოქტორანტურა
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა - 55
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - თეოლოგიის დოქტორი
5. დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0221 რელიგია და თეოლოგია

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადეს საბჭოს წევრებმა - თამარ ლომინაძემ და ქეთევან ქუთათელაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერზე ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, საერთაშორისო ექსპერტი მილტიადის ვანცოსი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებსა და ინსტიტუციას და დაადასტურა პატივისცემა მათ მიმართ. აღნიშნა, რომ პროგრამას მნიშვნელოვანი გაუმჯობესება აქვს ბოლო აკრედიტაციის შემდგომ, ასევე გამოვლენილი იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ ძლიერი მხარეები. უპირველესად უნდა აღინიშნოს პერსონალი და მაღალი ხარისხის ხელმძღვანელობა დოქტორანტებისათვის, ინტერვიუს დროს სტუდენტებმა გამოხატეს კმაყოფილება ხელმძღვანელების მიმართ და აღნიშნეს მათი მხრიდან მნიშვნელოვანი ხელშეწყობის შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ყველა კურიკულუმი და სასწავლო კურსი ძალიან ორგანიზებულია. ასევე აღინიშნა, რომ არსებობდა გასაუმჯობესებელი მხარეები, კერძოდ, უნდა დაკონკრეტდეს მიღების

წინაპირობები, განსაკუთრებით იმ სტუდენტებისათვის, რომლებსაც არ ჰქონდათ არანაირი ცოდნა და გამოცდილება თეოლოგიური კუთხით, ასევე მნიშვნელოვანია დაზუსტდეს და დეტალურად გაიწეროს საკვლევი პროექტის შეფასების კრიტერიუმი, რომელიც უნდა წარადგინოს დოქტორანტმა პროგრამაზე ჩაბარებისას. ასევე, გარკვეული საკითხები შეეხება ვებ-გვერდს, რომელიც უნდა იყოს ინფორმაციული და სტრუქტურირებული. ასევე მნიშვნელოვანია გაძლიერდეს ინტერდისციპლინარული პოზიცია, შემუშავებული უნდა იყოს ინტენაციონალიზაციის სტრატეგია. დაწესებულების მხრიდან ამ კუთხით ნაბიჯები გადადგმულია და არგუმენტირებულ პოზიციაში მას აღნიშნული აქვს ის აქტივობები, რომლებიც ხორციელდება ამ მიმართულებით, რასაც მხოლოდ მიესალმება ექსპერტთა ჯგუფი. მნიშვნელოვანია არსებობდეს სტრატეგია და ბევრი აქტივობა განხორციელდეს ამ მიმართულებით. ასევე აღნიშნა, რომ გაცემული იყო რეკომენდაციები სტუდენტთა აქტიურობის კუთხით, კერძოდ სტუდენტთა ვალდებულება, რომ გამოაქვეყნონ ერთი სტატია მაინც საერთაშორისო ჟურნალში, თუმცა ამას გარდა უნდა მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში და სიმპოზიუმებში. ასევე, მნიშვნელოვანია სტუდენტთა ინფორმირებულობა პროგრამის შესაძლებლობებთან დაკავშირებით, რადგან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტების უმრავლესობა არ იყო ინფორმირებული იმ შესაძლებლობებთან დაკავშირებით, რასაც პროგრამა სთავაზოდა მათ, კერძოდ სტიპენდიებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას და ა.შ. ექსპერტების მხრიდან, ძირითადი დასკვნა პროგრამის მიმართ პოზიტიური, ასევე სახეზეა პროგრამის გაუმჯობესება, ასევე აღინიშნა, რომ ყოველთვის იარსებებდა სფერო და არეალი პროგრამის კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის. საუბრის ბოლოს, ექსპერტმა გამოთქვა მზაობა კითხვების არსებობის შემთხვევაში ეპასუხა მათზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ინსტიტუციის წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები ექსპერტთა დასკვნის მიმართ.

დაწესებულების წარმომადგენელი, დავით მახვილამე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს და აღნიშნა, რომ დასკვნა პოზიტიურია და შეფასება ობიექტური, მაღლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისათვის. აღნიშნა, რომ ინტერნაციონალიზაციის ჭრილში საუბარია როგორც 1.1. ასევე 1.2. კომპონენტში, აღნიშნა რომ ამ თვალსაზრისით წელიწადში ოთხჯერ, „სახელმწიფო რელიგია სამართალი“ სამეცნიერო კლასტერის ფარგლებში, დასავლეთ და ცენტრალური ევროპის ასევე ამერიკის წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორები ჩამოდიან და მართავენ სამეცნიერო დღეებს, კონფერენციებს და დიალოგებს. გარდა ამისა, დაწესებულებამ უმასპინძლა ჰეგელის კონგრესს. შესაბამისად, ინტერნაციონალიზაციის კუთხით დაწესებულების მხრიდან იდგმება ნაბიჯები დასავლელ პარტნიორებთან არსებული ურთიერთობიდან გამომდინარე. შესაბამისად ითხოვა აღნიშნულის თაობაზე რეკომენდაცია გადასულიყო რჩევებში, დაწესებულება მათ რჩევების ნაწილში გაითვალისწინებდა. რაც შეეხება რეკომენდაციას დაინტერესებული მხარეების თანამონაწილეობის შესახებ, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამით დაინტერესებული ყველა მხარე ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, შესაბამისად იმაზე უფრო მეტად ვიდრე ეს ხორციელდება ვერ მოხდებოდა მისი გათვალისწინება, შესაბამისად ისურვა აღნიშნული რეკომენდაციის რჩევებში გადატანა. რაც შეეხება, მეორე სტანდარტთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციას, განაცხადა რომ დაწესებულებას ჰქონდა უხერხულობა, ვინაიდან რეკომენდაცია ეხებოდა მიღების წინაპირობის დაზუსტებასა და მოთხოვნების გამკაცრებას, ასევე მითითებული იყო რეკომენდაციაში რომ „პროგრამის ფარგლებში უნდა დაკონკრეტდეს რამდენი კრედიტია საჭირო თეოლოგიურ და ეთნოლოგიურ კურსებში პროგრამაზე მისაღებად“ ვინაიდან რეკომენდაცია ითვალისწინებდა აპლიკანტებისათვის კრედიტების მოთხოვნის ვალდებულებას უშუალოდ თეოლოგიურ და ათნოლოგიური მეთოდოლოგიურ კურსებში. დავით მახვილამე აღნიშნა რომ დაწესებულებას პროგრამაზე აქვს დეტალური დაშვების წინაპირობა, შესაბამისად არ ეთანხმებიან ექსპერტებს

დამატებით კიდევ კრედიტებით იქნას შემოფარგლული და დაწესდეს დამატებითი მოთხოვნა. შესაბამისად, ითხოვა საბჭოსაგან რომ მეტი ყურადღება გამახვილებულიყო მათ მიერ მოცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით. რაც შეეხება, კვლევითი პროექტის დეტალურ შეფასებას, განაცხადა რომ დაწესებულებაში არსებობდა შეფასების სისტემა თუმცა, რეკომენდაციის შესაბამისად მოახდენენ მეტ დეტალიზებას. რაც შეეხება ვებ-გვერდის განახლების თაობაზე რეკომენდაციას განაცხადა, რომ განთავსებულია ყველანაირი ინფორმაცია, არამხოლოდ ამ პროგრამის, არამედ ყველა პროგრამასთან მიმართებით და შესაბამისად მიიჩნია, რომ ინფორმაციის მოძიების პრობლემა უფრო იყო, ვიდრე ვებ-გვერდზე კონკრეტული ინფორმაციის არარსებობის საკითხი. რაც შეეხება სიმპოზიუმებს და კონფერენციებს მან განაცხადა რომ დაწესებულების მიერ ეტაპობრივად ხორციელდება. გარდა ამისა, დოქტორანტს სავალდებულოდ მოეთხოვება, საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მიღება, ასევე დარგობრივი დოკუმენტიც დაამტკიცდა ეს მოთხოვნა დოქტორანტების მიმართ. დაწესებულებას მიაჩნია, რომ ექსპერტების მიერ აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის საფუძველი გახდა შესამოწმებელი ექვსწლიანი პერიოდი, ხოლო კონკრეტული ვალდებულება დაწესდა 2021-2022 სასწავლო წელს მიღებული დოქტორანტებისათვის და მოცემული პერიოდისათვის კურსდამთავრებულები ახალი დანაწესის შემდგომ დაწესებულებას არ ჰყავდა. დარგობრივი მახასიათებელი ამ დროისათვის მოითხოვდა და დაწესებულებისათვის ცნობილი იყო რომ საჭიროა დამატება აკადემიური პერსონალისა, შესაბამისად ამ მიმართულებით დაწესებულება აცხადებს კონკურსს სასწავლო წლის ბოლოს, შესაბამისად საუნივერსიტეტო კონკურსში გათვალისწინებულია თეოლოგიის მიმართულებაც, მანამდე მოწვეულის სტატუსით ძლიერდებოდა დაწესებულებაში ეს კონკრეტული მიმართულება და ამ დროისათვის კმარი იყო პროგრამა. ასევე, განაცხადა რომ ახალ დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაშია მოყვანილი განსახილველი პროგრამაც, მათ შორის ადამიანური რესურსების ჭრილში, დაწესებულება გაყვებოდა ჩარჩო დოკუმენტის რეკომენდაციებს. რაც შეეხება აკადემიური წერის ნაწილში ტრენინგების ჩატარებას აღნიშნა, რომ სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა დაწესებულებაში ისწავლებოდა მაღალ დონეზე, გამოცდილების მქონე პროფესორების მიერ. ასევე აღნიშნა, რომ როგორც სამეცნიერო ხელმძღვანელების ასევე, სადოქტორო ნაშრომების მხრივ პროგრამა იყო შესაბამისი. აღნიშნა, რომ მოცემულ პროგრამა იყო აქტუალური და სახელმწიფოსათვის საჭირო, ვინაიდან არაერთი ღირებულებითი ნაშრომი შექმნილა დაწესებულებაში კონკრეტული მიმართულებით. გამოთქვა მზაობა კითხვების არსებობის შემთხვევაში ეპასუხა მათზე.

პროგრამის ხელმძღვანელმა ლევან მათეშვილი მიესალმა საბჭოს წევრებს და მადლობა გადახადა ექსპერტებს გაწეული შრომისათვის. დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ერთის მხრივ მოთხოვნა იყო, რომ პროგრამას ჰქონდეს ინტერდისციპლინარული მიდგომები და მეორეს მხრივ მოთხოვნაა ექსპერტების დაშვების წინაპირობების გამკაცრებისა, კერძოდ თეოლოგიური ცოდნის მქონე სტუდენტების მიღებისა. საქართველოს ეკლესიის ისტორია, მიმართულება სადოქტორო პროგრამისა, თავის თავში მოიცავს ინტერდისციპლინარულობას. მაშინ, როდესაც დაწესებულებამ შეზღუდა დაშვების წინაპირობები შემოიფარგლა ის დარგები, რომლებშიც ადგილი ექნებოდა სწორედ ამ მიმართულებით კვლევებში მონაწილეობას, მაგალითად: ისტორია, ხელოვნება და სხვა, რომელიც იმთავითვე დაშვების წინაპირობებში იყო განსაზღვრული. დაშვების წინაპირობების შემოღება ეფუძნებოდა წინა აკრედიტაციის პროცესის ექსპერტთა დასკვნას, ხოლო უკვე არსებულის კიდევ უფრო გამკაცრებით მოხდებოდა მხოლოდ კონკრეტული მიმართულებით, არავითარ შემთხვევაში იქნებოდა ინტერდისციპლინარული პროგრამა. აღნიშნა, რომ ინტერდისციპლინარული კვლევების გარეშე, მოცემულ პროგრამა ვერ განხორციელდებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ კითხვები და მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, ვასილ კიკუტაძემ აღნიშნა, რომ დამაზუსტებელი კითხვა ჰქონდა ექსპერტებთან, რეკომენდაცია ითვალისწინებდა, რომ დოქტორანტმა კვლევის შედეგები სულ მცირე, ერთ

საერთაშორისო სიმპოზიუმზე, კონფერენციაზე, კონგრესზე, ფორუმზე ან ინდექსირებულ ჟურნალში გამოქვეყნოს, ხოლო რეგულაციის შესაბამისად დოქტორანტურის ყველა სტუდენტი ტექნიკურ უნივერსიტეტში ვალდებული იყო განეხორციელებინა ყოველივე ზემოხსენებული და დაეცვა სტანდარტი, შესაბამისად საბჭოს წევრს აინტერესებდა, გაცემული რეკომენდაციის მიზნობრიობა.

ექსპერტმა ცოტნე ჩხეიძემ განაცხადა, რომ გაცემული რეკომენდაცია გულისხმობდა, არა იმას, რომ კონფერენციაში მიიღოს მონაწილეობა ან სტატია გამოაქვეყნოს საერთაშორისო ინდექსირებულ ჟურნალში, არამედ გულისხმობდა საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მიღების ვალდებულებას და უცხოურ ჟურნალში მინიმუმ ერთი სტატიის გამოქვეყნებას, როგორც გათვალისწინებულია ახლახან მიღებულ ჩარჩო დოკუმენტში. საბჭოს წევრს ვასილ კიკუტაძეს დამაზუსტებელი კითხვა ჰქონდა პროგრამის ხელმძღვანელთან, არგუმენტირებულ პოზიციაში ცალსახად იყო აღნიშნული რომ პროგრამის სტუდენტი ვალდებულია სტანდარტის ფარგლებში გამოაქვეყნოს ნაშრომი, შესაბამისად აინტერესებდა პროგრამაშიც რამე განსხვავებული მოთხოვნა ხომ არ იყო. პროგრამის ხელმძღვანელმა დაადასტურა, რომ დაწესებულება ითხოვს საზღვარგარეთის რეფერირებულ, სამეცნიერო ჟურნალებში მინიმუმ ერთი სტატიის გამოქვეყნებას. საბჭოს წევრს ელიზბარ ელიზბარაშვილს აინტერესებდა, რომ გაცემული რეკომენდაცია ხომ არ იყო დაკავშირებული რომელიმე სადოქტორო დისერტაციასთან, ვინაიდან მათ აღმოაჩინეს რომ არ იყო პრაქტიკულად განხორციელებული ეს კომპონენტი. ასევე მან წინარე ცოდნის წარმოჩინებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არ მიაჩნია რომ კრედიტებში უნდა განისაზღვროს მიღების წინაპირობის საკითხები, არამედ იგი შესაძლებელია შემოწმდეს თუნდაც გასაუბრებისას. აღნიშნა, რომ როდესაც ქვეყნდება დოქტორანტურაზე მიღების ვაკანსია, დოქტორანტმა უნდა იცოდეს რა თემის კვლევაზე მიდის, შესაბამისად დაინტერესდა ამ ნაწილს ხომ არ გულისხმობდნენ ექსპერტები. ასევე მას დაწესებულებასთან ჰქონდა კითხვა, მან აღნიშნა, რომ დაწესებულება გარდა სადოქტორო ნაშრომისა ითხოვდა ავტორეფერატსაც, რომელიც დამატებითი დატვირთვა იყო დოქტორანტისათვის, შესაბამისად მას აინტერესებდა, აღნიშნულის როლი და მიზანი მიმდინარე საგანმანათლებლო სისტემაში.

ექსპერტმა ცოტნე ჩხეიძემ აღნიშნა, რომ ზოგადად სადოქტორო დებულებაში იყო მოთხოვნა საერთაშორისო ინდექსირებად ჟურნალში დოქტორანტის მიერ მინიმუმ ერთი სტატიის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, ასევე მათ მიერ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე. თუმცა ექსპერტების მიერ, რეკომენდაცია ემსახურებოდა არა მხოლოდ საერთაშორისო ინდექსირებად ჟურნალში სტატიის გამოქვეყნებას, რომელიც შეიძლება იყოს ქართულიც, არამედ რეკომენდაცია ეხებოდა საერთაშორისო ჟურნალში სტატიის გამოქვეყნების ვალდებულებას, ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, დებულებაში აღნიშნულის განსაზღვრა სავალდებულოა. რაც შეეხება მიღების წინაპირობას, განაცხადა, რომ წინა აკრედიტაციის დროსაც იგი იყო ექსპერტი და აკრედიტაციის საბჭო წინა წარმოებაში თანახმა იყო რომ ყოფილიყო კრედიტების სისტემა, უშუალოდ თეოლოგიური და მეთოდოლოგიური კუთხით, დოქტორანტს რა კრედიტები უნდა ჰქონოდა დამღეული ყოფილიყო ნაჩვენები, ვინაიდან გასაუბრებაზე, თეოლოგიური ცოდნის შესაბამისად შემოწმება ვერ მოხდება. ასევე აღნიშნა, რომ კვლევითი კომპონენტის მოთხოვნები კიდევ უფრო იყო დასაკონკრეტებელი, რათა უფრო მეტად ნათელი იყოს მოთხოვნები. დაწესებულების წარმომადგენელმა დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ მაშინ როდესაც საუბარია კრედიტების რაოდენობის განსაზღვრაზე მიღების წინაპირობებში, დაწესებულებას მიღების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის წარდგენის ვალდებულება და გასაუბრება, რის საფუძველზეც ირიცხება პირი დოქტორანტურაში. რაც შეეხება, საერთაშორისო კონფერენციებში და გამოცემებში მონაწილეობის მიღებას ვალდებულებას, ახალი ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნებს, განაცხადა, რომ უნივერსიტეტს ახალი დოკუმენტის მიღებამდე დაწესებული ჰქონდა სწორედ ამგვარი მოთხოვნა. უფრო მეტიც, სტანდარტი ითხოვს არანაკლებ ორს, აქედან ერთს უცხოურ ჟურნალში, ხოლო დაწესებულებას აქვს

დოქტორანტურის დებულებით მოთხოვნა სამი სტატიის გამოქვეყნებისა. მათ შორის ერთი უნდა იყოს დამოუკიდებელი, ერთ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებული ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება. ასევე განაცხადა რომ 2021 წელს სექტემბერს ჩარიცხული დოქტორანტი, გამონაკლისის გარეშე ექვემდებარე ამ მოთხოვნას. რაც შეეხება, ავტორეფერატის საჭიროებას, განაცხადა, რომ კარგი ინსტრუმენტია, დისერტაციასთან ერთად სადისერტაციო საბჭოს წარედგინოს, თუმცა აღნიშნულ საკითხს გააცნობდა შესაბამის პირებს და იმსჯელებდნენ ავტორეფერატის საჭიროების საკითხზე.

საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა დაამატა თავის პოზიციას, რომ ავტორეფერატის სადისერტაციო ნაშრომთან ერთად სადისერტაციო საბჭოს წევრებისათვის გადაცემა, კმნიდა შეხედულებას, რომ საბჭოს წევრები ვერ ახერხებდნენ ნაშრომის სრულყოფილად გაცნობას, არამედ შემოიფარგლებიან მხოლოდ ავტორეფერატის გაცნობით. ადრინდელ დროს, ავტორეფერატის მიზანი გახლდათ ის, რომ სადისერტაციო ნაშრომი არ იყო საჯარო, ხოლო დღევანდელ პრაქტიკაში ნაშრომის საჯაროდ განთავსება და გაცნობა დაცვამდე სავალდებულოა.

საბჭოს წევრს, დიანა მჭედლიშვილს კითხვა ჰქონდა დაწესებულებასთან ავტორეფერატთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ახალი სტანდარტების მიხედვით, ხელმძღვანელი ან რეცენზენტი მაინც, სავალდებულოა იყოს უცხოელი, ავტორეფერატის პრაქტიკა ორ ენაზე ხომ არ იყო განპირობებული იმით, რომ უცხოელისათვის მიწოდებული ყოფილიყო არა სრულიად ნაშრომი, არამედ ავტორეფერატი. აღნიშნულის პასუხად, დაწესებულების წარმომადგენელმა დავით მახვილაძემ განაცხადა, რომ სრული დისერტაციის შესაბამისად უნდა შეაფასოს საერთაშორისო რეცენზენტმა ნაშრომი და სტანდარტის შესაბამისად, თარგმნა ხდება შესაბამის ენაზე.

საბჭოს წევრს, თამარ ტუფინაშვილს დამაზუსტებელი კითხვა ჰქონდა ექსპერტებთან, ვინაიდან პროგრამას წინა აკრედიტაციის დროს მინიჭებული ჰქონდა პირობით აკრედიტაცია, შესაბამისად მას აინტერესებდა, ექსპერტების მოსაზრება, თუ რამდენად იყო პროგრამის მიერ გათვალისწინებული საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები.

ექსპერტმა ცოტნე ჩხეიძემ მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ თეოლოგიური და მეთოდოლოგიური კურსების დამღევასთან, კრედიტებთან დაკავშირებით მაშინაც იყო გაცემული რეკომენდაცია, რომელიც ამ მოცეულ პერიოდისათვის არ იყო შესრულებული, თუმცა პროგრამის ხელმძღვანელმა დააზუსტა, რომ გაცემული რეკომენდაცია შესრულებული იყო ნაწილობრივ. დაწესებულების წარმომადგენელმა დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია დაწესებულების მიერ იყო შესრულებული, კონკრეტული საგნების კრედიტებით შემოფარგვლა არ მიაჩნია დაწესებულებას მიზანშეწონილად, ხოლო მოხდა ფართო სფეროების ჩაწერა ოთხი მიმართულებით.

სხდომის თავმჯდომარეს გოჩა თუთბერიძეს დამაზუსტებელი კითხვა ჰქონდა პროგრამის ხელმძღვანელთან, მან განაცხადა, რომ ვინაიდან ქართული ეკლესიის ისტორიაც იყო პროგრამის ნაწილი, რამდენად აუცილებელი იყო რომ მკვლევარები ფლობდნენ ინგლისურის გარდა სხვა ენებს. პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ სასურველი და მიზანშეწონილია დოქტორანტი ფლობდეს სხვადასხვა ენებს, რათა მოახდინოს ორიგინალში წყაროს წაკითხვა, თუმცა ამის პროგრამით გათვალისწინების საჭიროებას ვერ ხედავდა, ვინაიდან თანამედროვე საშუალებების პირობებში მარტივად შესაძლებელია ერთ უცხო ენის, კონკრეტულად ინგლისური ფლობით მოხდეს წყაროების მარტივად მიღება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:20

დასრულების დრო: 15:40

აკრედიტაციის საბჭომ, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო დოკუმენტაციის შეფასების და ზეპირი მოსმენის დროს

გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე, ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და რეკომენდაცია, კერძოდ, 1.1 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია (რეკომენდებულია, მუდმივად იმუშაოს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის განვითარებაზე) გადაიტანა რჩევებში და აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება და ის ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

ასევე, 2.1 კომპონენტში გაცემული 3 რეკომენდაციიდან, 2 რეკომენდაცია (1. რეკომენდებულია, შემუშავდეს პროგრამაზე დაშვების უფრო ზუსტი და მკაცრი მოთხოვნები იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ თეოლოგიის მაგისტრის ხარისხი. კერძოდ, პროგრამის ფარგლებში უნდა დაკონკრეტდეს რამდენი კრედიტია საჭირო თეოლოგიურ და მეთოდოლოგიურ კურსებში პროგრამაზე მისაღებად; 2. რეკომენდებულია, პროგრამაზე მიღებისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია განთავსდეს თანმიმდევრულად დაწესებულების ვებ-გვერდზე (არ უნდა იყოს წარმოდგენილი განსხვავება ქართულ და ინგლისურ ენებზე არსებულ ინფორმაციას შორის; ასევე თვითშეფასების ანგარიშში)) საბჭომ გადაიტანა რჩევებში, თუმცა აღნიშნულმა არ შეცვალა კომპონენტის შეფასება, 2.2 კომპონენტში არსებული რეკომენდაცია (რეკომენდებულია, დისერტაციის დაცვამდე, დოქტორანტებმა კვლევის შედეგები წარმოადგინონ სულ მცირე ერთ საერთაშორისო სიმპოზიუმზე, კონფერენციაზე, კონგრესზე ან ფორუმზე, ასევე უცხოურ საერთაშორისო ინდექსირებულ ჟურნალში.) საბჭომ გადაიტანა რჩევებში, შედეგად 2.2 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "თეოლოგია-საქართველოს ეკლესიის ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (2029 წლის 31 დეკემბრამდე), ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "თეოლოგია-საქართველოს ეკლესიის ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით, (2029 წლის 31 დეკემბრამდე), ერთ წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

პროგრამას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, გაძლიერდეს პროგრამის ინტერდისციპლინურობა;
2. რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს სწავლის შედეგების შემუშავების პროცესი და მოიცავდეს ყველა დაინტერესებულ მხარეს (აკადემიურ პერსონალს, მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და ა.შ.);
3. რეკომენდებულია, შემუშავდეს შეფასების დეტალური კრიტერიუმები პროგრამაზე მიღებისთვის საჭირო კვლევითი პროექტისათვის;
4. რეკომენდებულია სადოქტორო დისერტაციის დაცვის კომისიაში ჩართული თეოლოგების რაოდენობის გაზრდა, ასევე უზრუნველყოფა, რომ რეცენზენტები, რომლებიც აფასებენ კვლევას თეოლოგიის სფეროში, იყვნენ დარგის ექსპერტები;
5. რეკომენდებულია, დოქტორანტებს მიეწოდოთ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომი შესაძლებლობების შესახებ, მათ შორის კონფერენციებზე დასწრების, საზღვარგარეთ კვლევის ჩატარების და მათი შედეგების საერთაშორისო მასშტაბით გამოქვეყნების შესაძლებლობების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ინფორმაცია ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიების შესახებ, როგორცაა კონფერენციები და სიმპოზიუმები გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის / ფაკულტეტის ვებ - გვერდზე;
6. რეკომენდებულია, დაწესებულებამ გამოაქვეყნოს საკონსულტაციო საათები და უზრუნველყოს სტუდენტებისთვის მათი ხელმისაწვდომობა;
7. რეკომენდებულია, სტუდენტებისთვის ტრენინგების შეთავაზება ან ხელმძღვანელების მხრიდან სათანადო ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა სამეცნიერო მონაცემთა ბაზების გამოყენების შესახებ;
8. რეკომენდებულია, ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილონ სტუდენტების აკადემიური წერის მიმართულებით აუცილებელი ცოდნით და უნარებით აღჭურვაზე, მათ შორის სადისერტაციო ნაშრომის და სამეცნიერო სტატიების მომზადების სტრუქტურაზე და სახელმძღვანელო პრინციპებზე;
9. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამაში დასაქმებულია თეოლოგიის ისტორიაში დოქტორის ხარისხის მქონე მცირე რაოდენობის აკადემიური პერსონალი, რეკომენდებულია მეტი აფილირებული პერსონალის აყვანა, რომლებიც ასევე გათვალისწინებული იქნებიან აღნიშნული პროგრამის ხელმძღვანელებად;
10. რეკომენდებულია, პერსონალის პროფესიული განვითარების სხვადასხვა აქტივობები, ასევე პროგრამის ფარგლებში ორგანიზებული სამეცნიერო აქტივობები, მათ შორის კონფერენციები, სემინარები, ლექციები და საზღვარგარეთ კვლევის შესაძლებლობები, 9 ტრენინგები და ა.შ. აღირიცხოს და აისახოს პერსონალის პირად საქმეებში ან პროგრამის ვებ-გვერდზე იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შედეგებზე ხელმისაწვდომობა;
11. რეკომენდებულია, ბიუჯეტი უზრუნველყოფდეს სტუდენტების ფინანსურ მხარდაჭერას და სტუდენტებს მკაფიო და გამჭვირვალე წარმოდგენა ჰქონდეთ ხელმისაწვდომი ფინანსური მხარდაჭერის შესახებ;
12. რეკომენდებულია, პროგრამის ჯგუფმა სრულად გაითვალისწინოს წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული ყველა რეკომენდაცია.

რჩევები:

1. სასურველია, გაძლიერდეს პროგრამის ინტერდისციპლინურობა და შემუშავდეს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;
2. სასურველია, შემუშავდეს პროგრამაზე დაშვების უფრო ზუსტი და მკაცრი მოთხოვნები იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ თეოლოგიის მაგისტრის ხარისხი. კერძოდ, პროგრამის ფარგლებში უნდა დაკონკრეტდეს რამდენი კრედიტია საჭირო თეოლოგიურ და მეთოდოლოგიურ კურსებში პროგრამაზე მისაღებად;
3. პროგრამაზე მიღებისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია განთავსდეს თანმიმდევრულად დაწესებულების ვებ-გვერდზე (არ უნდა იყოს წარმოდგენილი განსხვავება ქართულ და ინგლისურ ენებზე არსებულ ინფორმაციას შორის; ასევე თვითშეფასების ანგარიშში);

4. სასურველია, დისერტაციის დაცვამდე, დოქტორანტებმა კვლევის შედეგები წარმოადგინონ სულ მცირე ერთ საერთაშორისო სიმპოზიუმზე, კონფერენციაზე, კონგრესზე ან ფორუმზე, ასევე უცხოურ საერთაშორისო ინდექსირებულ ჟურნალში;
5. სასურველია, გადაიხედოს ბალანსი ზოგად (მეთოდოლოგიური, საკომუნიკაციო და სწავლების) კურსებს და საქართველოს ეკლესიის ისტორიის სპეციალიზებული კურსებს შორის;
6. სასურველია, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მხარდასაჭერის მიზნით უფრო აქტიურად იყოს გამოყენებული უცხოენოვანი ლიტერატურა, უზრუნველყოფილ იქნეს პრეზენტაციების უცხო ენაზე გაკეთება და პროგრამის განვითარებაში უცხოელი პერსონალის ჩართვა;
7. სასურველია, რეკომენდებული ლიტერატურის უფრო დიდი ნაწილი ხელმისაწვდომი იყოს უცხო ენებზე, რაც სტუდენტების კვლევითი საქმიანობისთვის ღირებული იქნება;
8. სასურველია, დოქტორანტების ენობრივი უნარებისა და კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა;
9. სასურველია, პროგრამის ფარგლებში შემუშავდეს მობილობის ხელშეკრულებების გაფორმების და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის სტრატეგია;
10. სასურველია, აკადემიურმა პერსონალმა მეტი დრო დაუთმოს სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზების კვლევითი შესაძლებლობების გაცნობას და მისცეს მათ მოტივაცია რეგულარულად გამოიყენონ აღნიშნული ბაზები;
11. სასურველია, მუდმივად იმუშაოს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის განვითარებაზე;

მეორე საკითხი: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი)“ საბაკალავრო (180 კრედიტიანი), „ბიზნესის ადმინისტრირების (მარკეტინგი)“ საბაკალავრო (180 კრედიტიანი), „ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები)“ საბაკალავრო (180 კრედიტიანი), „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო, „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო და „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)
2. საფეხური - ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა - 180
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
5. დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება

ბიზნესის ადმინისტრირების (მარკეტინგი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება (მარკეტინგი)
2. საფეხური - ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა - 180
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში
5. დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება

ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები)

2. საფეხური - ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა - 180
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში
5. დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება
2. საფეხური - მაგისტრატურა
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა - 120
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
5. დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება
2. საფეხური - დოქტორანტურა
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა - 60
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
5. დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება
2. საფეხური - დოქტორანტურა
3. სწავლების ენა - ინგლისური
4. მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა - 60
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
5. დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადეს საბჭოს წევრებმა - ვასილ კიკუტაძემ და გიორგი მირიანაშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტის ძირითადი მოსაზრებები წარმოადგინა თარჯიმანმა. აღნიშნა რომ გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში კლასტერული პროგრამების აკრედიტაციის პროცესი მოიცავდა ექვს პროგრამას, სამივე საფეხურზე, რომელიც ფარავდა, მარკეტინგის, მენეჯმენტის და ფინანსების სპეციალობაში, როგორც ქართული, ასევე ინგლისურენოვანი პროგრამები. დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 9-11 ოქტომბრის პერიოდში. შეფასების შემდეგ ექსპერტმა ჯგუფმა გასცა ორი მთავარი რეკომენდაცია, რომელიც ყურადღებას ამახვილებს, სადოქტორო კომპონენტების ხელახლა დამუშავებაზე, რათა უფრო მეტად მოსულიყო თანხვედრაში სადოქტორო საკვლევ თემებთან. განსაკუთრებით, ექსპერტები ფოკუსირდებიან კოლოკვიუმებისა და პუბლიკაციების საჭიროებაზე, რომელიც პირდაპირ კავშირში უნდა იყოს სადისერტაციო თემებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ ყველა აკადემიური აქტივობა ხელშესახებად ემსახურება საკვლევ სფეროს. საუკეთესო პრაქტიკა სადოქტორო განათლებაში საჭიროებს კონცენტრირებულ საკვლევ გეგმას, რათა შენარჩუნებული იყოს აკადემიური სიმკაცრე და თეზისის ხარისხი. დაწესებულება მხარს უჭერს ფართო ინტერდისციპლინარულ აქტივობებს რაც დასაფასებელია, თუმცა რისკავს იმ საკვლევ ფოკუსის და სიღრმის განზავებას, რაც მოეთხოვება სადოქტორო კვლევას. ამიტომ, პანელი ვერ მიღებდა მხედველობაში არგუმენტირებულ პოზიციას. ამის ნაცვლად, რეკომენდაციაა უზრუნველყოთ რომ ყველა სამეცნიერო კომპონენტი მიზანმიმართულად თანხვედრაში იყოს დისერტაციის მიზნებთან, რათა ასახავდეს იმ მაღალ სტანდარტებს, რაც სადოქტორო პროგრამას მოეთხოვება. რეკომენდაციებთან ერთად ექსპერტებმა წარმოადგინეს ცამეტი რჩევა, რომელიც სასწავლო გეგმების გაძლიერებას ემსახურება. პროგრამის თანხვედრაში მოყვანას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და გლობალური კომპეტენციების წახალისებას. ეს მოიცავს ისეთი მოწინავე თემების შემოტანას კურსკურუმებში, როგორიც არის ხელოვნური ინტელექტი, ციფრული მარკეტინგი, მონაცემთა ანალიტიკა და ლიდერობა. პრაქტიკული სწავლების გაძლიერებისთვის. სასურველია გაფართოვდეს სტაჟირების პროგრამები, ინდუსტრიული პროექტები და პრაქტიკულ შემთხვევებზე დაფუძნებული სწავლება, რაც უკეთ მოამზადებს სტუდენტებს რეალური ცხოვრების გამოწვევებისათვის, ასევე რეკომენდირებულია რომ თანხვედრაში მოვიდეს არსებული სწავლების პრაქტიკა სწავლების თანამედროვე პრაქტიკასთან. ექსპერტთა ჯგუფი მოხარულია დაწესებულების ჩართულობისა და მცდელობისათვის რომ დააკმაყოფილოს როგორც ადგილობრივი ასევე საერთაშორისო სტანდარტები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს და აღნიშნა, რომ თანამშრომლობა იყო ნაყოფიერი, კოლეგიალური და კონსტრუქციული, რისთვისაც მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს. ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების მიზანია ჰქონდეს მაღალი ხარისხის სადოქტორო პროგრამა და ნებისმიერი ნაშრომი იყოს არსებული სტანდარტების შესაბამისი. დაწესებულება ამ მიმართულებით ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს, ინტერდისციპლინარული თუ სხვადასხვა კუთხით. დაწესებულება ზღუდავს იმის შესაძლებლობას რომ ერთი და იგივე ნაშრომი სხვადასხვა კონტექსტში, სხვადასხვა შეფასებისთვის იქნას გამოყენებული, გადამუშავების გარეშე. აღნიშნა, რომ არ ეთანხმება იმ აზრს რომ დაწესებულებაში სადოქტორო საფეხური ვიწროდ უნდა იყოს სპეციალიზირებული

და აღნიშნავს, რომ დაწესებულების მიზანია სტუდენტების ფართო ინტერდისციპლინური ცოდნის მიღების შესაძლებლობა. დაწესებულება დოქტორანტისაგან ითხოვს, როგორც სამეცნიერო სტატიის შესრულებას, ასევე მოხსენების გაკეთებას საერთაშორისო კონფერენციაზე და ასევე საკვლევი თემის ირგვლივ ბლოგების გაკეთებას, რომელიც გაამდიდრებს სადოქტორო კვლევას. ინსტიტუციის წარმომადგენელი უმრავლეს საკითხებში ექსპერტთა ჯგუფს დაეთანხმა, თუმცა რეკომენდაციის ნაწილში, რომელიც ეხებოდა სადოქტორო საფეხურს დაწესებულებას ჰქონდა თავისი არგუმენტები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი გიორგი ღაღანიძე მიესალმა დამსწრე პირებს. მას კითხვა ჰქონდა დაწესებულებასთან, მისი თქმით, ფინანსების პროგრამის სასწავლო გეგმაში სტრატეგიული მენეჯმენტი იყო არჩევითი კურსი, ახალი დარგობრივი სტანდარტით, სტრატეგიული მენეჯმენტი, ბიზნეს ადმინისტრირების ყველა პროგრამებისათვის სავალდებულოა ბაკალავრის ხარისხის მინიჭებისას. ასევე იგივე კურსი არ ისწავლებოდა სამაგისტრო დონეზე. შესაბამისად, საბჭოს წევრის აზრით, ეს მოცემულობა გასასწორებელი იქნებოდა, ზოგადად ექსპერტების დასკვნასთან დაკავშირებით დააფიქსირა პოზიცია, ეს ამოსაღებია რაც შეეხება საბჭოს წევრის კითხვას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფინანსების პროგრამაში წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით სავალდებულო საგნად იყო მითითებული, მეხუთე სემესტრის საგნად, შესაბამისად ადგილი ჰქონდა ტექნიკურ ხარვეზს. აღნიშნა, რომ სტრატეგიული მენეჯმენტი ყოველგვარი პირობის გარეშე უნდა იყოს სავალდებულო საგნების ნუსხაში და ეს არის კიდევ ასე.

საბჭოს წევრ გოჩა თუთბერიძეს კითხვა ჰქონდა დაწესებულებასთან, მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამები, „მარკეტინგი“, „მენეჯმენტი“, „ფინანსები“. ძირითადი ნაწილი სრულად იდენტური იყო, პრაქტიკულად როგორც მოდულები ისეა წარმოდგენილი, შესაბამისად მას აინტერესებდა, ხომ არ ჯობდა ერთი პროგრამა ყოფილიყო, ვინაიდან მიზნებისა და სწავლის შედეგებშიც აისახებოდა პროგრამების იდენტურობა, შესაბამისად სწავლის შედეგების გაზომვა უფრო მარტივი იქნებოდა. პროგრამის ხელმძღვანელმა, აღნიშნა, რომ მსგავსება წარმოდგენილ პროგრამებში ნამდვლად იყო, ვინაიდან კვალიფიკაცია გაიცემოდა ბიზნესის ადმინისტრირებაში, თუმცა მსგავსება ძირითადად იყო პირველი სამი სემესტრის განმავლობაში. ხოლო შემდგომ უკვე კონცენტრირება ხდება კონკრეტული მიმართულებისაკენ, შესაბამისად განსხვავებების პირობებში სამივე პროგრამა იყო დამოუკიდებელი. ასევე პროგრამების მიზნები და შედეგები განსხვავდება ერთმანეთისაგან, შრომის ბაზრის კვლევებიდან გამომდინარე დაწესებულებამ მიიჩნია, რომ სამი სხვადასხვა პროგრამა ყოფილიყო წარმოდგენილი. ასევე თითოეულ პროგრამას აქვს არჩევითი საგნების ფართო შეთავაზების შესაძლებლობა, რაც იძლევა საშუალებას სტუდენტმა კონკრეტული მიმართულებით გაიღრმავოს ცოდნა. საბჭოს წევრმა გააჟღერა კიდევ ერთი კითხვა დაწესებულებასთან შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით, ის დაინტერესდა წარმოდგენილი კვლევა არსებული ვაკანსიების თაობაზე, რა მოცემულობას იძლეოდა პროგრამისათვის, როგორც დოქტორანტურის, ასევე ბაკალავრიატის მიმართულებით. აღნიშნულზე პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა რომ კვლევისას მხოლოდ მეორადი მონაცემების ანალიზს არ ეფუძნებოდნენ, არამედ დაწესებულებაში მოწყობილია დამსაქმებლების ჩართულობის ინსტიტუციური სისტემა, პროგრამას მართავს რეალურად პროგრამის კომიტეტი და დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულის კომიტეტი, მუდმივ რეჟიმში არიან ჩართულები, რომელთა ერთადაც ხდება განხილვა საჭიროებების. შესაბამისად მათი მოსაზრებების გათვალისწინებით ხდება პროგრამის შემუშვება, კერძოდ რა მოთხოვნები აქვთ დამსაქმებლებს.

გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ ეს მოცემულობა ძალიან კარგი იყო, თუმცა ეს დაინტერესებული მხარეების ჩართულობა იყო პროგრამის შემუშვების პროცესში და არა შრომის ბაზრის კვლევა. ასევე მას დამატებით კითხვა ჰქონდა ინგლისურენოვან სადოქტორო

პროგრამასთან დაკავშირებით, მას აინტერესებდა რა იყო მსგავსი პროგრამის შემუშავების მიზანი და ობიექტი. დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა რომ დაწესებულებისათვის მნიშვნელოვანია ზოგადად საბაკალავრო პროგრამების ამგვარი ვიწრო სპეციალიზაციით არსებობა, ვინაიდან შრომის ბაზარზე მეტად არის მოთხოვნა მსგავსი მიმართულებებით. რაც შეეხება ბაზრის კვლევას, დაწესებულების პოზიცია, არ შემოიფარგლება მხოლოდ კონკრეტული კვლევით, არამედ დაწესებულებას აქვს მჭირდო კავშირი დამსაქმებებთან, კარგად იცნობენ ბაზრის მოთხოვნებს, თუმცა შესაძლებელია დოკუმენტურად სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი, დაწესებულება ფლობს ბაზრის მოთხოვნების თაობაზე ვრცელ და ზუსტ ინფორმაციას. რაც შეეხება ინგლისურენოვან სადოქტორო პროგრამას, აღინიშნა რომ ვინაიდან ბოლო პერიოდში გახშირდა უცხოელების საქართველოში ჩამოსვლა და დასაქმება, შესაბამისად დამსაქმებელი კომპანიებისაგან იყო თხოვნა, რომ დაწესებულებას გაეკეთებინა სადოქტორო პროგრამა სწორედ ამ მიმართულებით უცხოელებისათვის, რადგანაც თავადაც სურვილი ჰქონდათ დასაქმებულებს. პრიორიტეტულია, არამხოლოდ ფინანსური მოგება, არამედ საერთაშორისო ბაზარზე დაწესებულების უკეთ წარმოჩენა და ახალი პარტნიორობა. იმ უცხოელების რაოდენობა, რომლებიც საქართველოში დოქტორანტურაში აბარებენ საკმაოდ მზარდია, შესაბამისად ეს ტენდენციაც მხარს უჭერდა იმ გადაწყვეტილებას რომ განხორციელებულიყო ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა.

საბჭოს წევრ ქეთევან ქუთათელაძეს კითხვა ჰქონდა დაწესებულებასთან, ის დაინტერესდა რამდენ კვლევით კომპონენტს მოიცავდა სადოქტორო პროგრამა და რომელ სემესტრში სრულდებოდა პირველი და მეორე კოლოქვიუმი და ფასდებოდა თუ არა ისინი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კოლოქვიუმები არ ფასდებოდა, შეფასებას ექვემდებარებოდა ბლოგ სემინარები, რომლებიც სასწავლო კომპონენტი იყო ათი ქულა. მესამე და მეოთხე სემესტრში სრულდებოდა და იგი იყო დისერტაციის დაცვის წინაპირობა. დასკვნაში აღნიშნული იყო რომ პირველი ორი წლის განმავლობაში დაწესებულება არ ამოწმებდა სადისერტაციო ნაშრომის განვითარებას, რაზეც პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ პირველი წელი დათმობილია სასწავლო კომპონენტებისათვის და მეორე წლიდან იწყებოდა სამეცნიერო აქტივობები, დებულებაში მითითებულია მათი შემოწმების კომპონენტები, რომლის მიხედვითაც პირველი შემოწმება ხდება მესამე სემესტრის ბოლოს, როდესაც უნდა წარმოადგინოს საკვლევი თემის გეგმა.

საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა დასვა კითხვა დაწესებულებასთან სადოქტორო ნაშრომებთან დაკავშირებით, მას აინტერესებდა ქვედა ზღვარი სადისერტაციო ნაშრომის რაოდენობისა და ასევე ახალი რეგულაციების შესაბამისად, რა ფორმით გეგმავდა დაწესებულება უცხოელებისათვის სადისერტაციო ნაშრომების მიწოდებას. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ნაშრომის მინიმალური რაოდენობა არის ორასი გვერდი, უცხოელებისათვის კი ითარგმნებოდა და ამ ფორმით მიწოდება მათ.

15. სასურველია უნივერსიტეტმა გააუმჯობესოს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები. კერძოდ, უფრო დეტალურად უნდა აღიწეროს, თუ როგორ ხდება სააკრედიტაციო ორგანოებისა და საერთაშორისო აკადემიური ორგანიზაციებისგან მიღებული გარე შეფასებების გათვალისწინება შიდა შეფასების პროცესში. (5.1)

სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 18:00 სთ-დან 18:15 სთ-მდე.

მესამე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)", "მენეჯმენტის", "მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი და "მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების, "მენეჯმენტის", "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი, "ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა)
2. საფეხური - ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა - ქართული
4. მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა - 240
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
5. დეტალური სფეროს და სახელება და კოდი - 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება

2. მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა) ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა)
2. საფეხური - ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა - ინგლისური
4. მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა - 240
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
5. დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება

3. მენეჯმენტის საბაკალავრო (180 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამა

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - მენეჯმენტი
2. საფეხური - ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა - ქართული

5. დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა - დიმიტრი ჯაფარიძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტი არ ესწრებოდა ზეპირ მოსმენას.

აკრედიტაციის ექსპერტმა ეკა გეგეშიძემ აღნიშნა, რომ შესაფასებლად წარმოდგენილი იყო კლასტერის 8 საგანმანათლებლო პროგრამა. კლასტერში გაერთიანებული იყო, როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები. ექსპერტების მიერ გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია. აღინიშნა, რომ კლასტერის მეექვსე და მეშვიდე დონის საფეხურის პროგრამები მოსაყვანი იყო დარგობრივ მახასიათებელთან უფრო ახლო კავშირში. ასევე, ექსპერტების მიერ გაცემული იქნა რამდენიმე რეკომენდაცია შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით. საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია, კერძოდ: რეკომენდებულია მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის მკაფიოდ განსაზღვრული მიზნების შემუშავება, რომელიც მიმართული იქნება თითოეული საბაკალავრო პროგრამის, კონკურენტუნარიანობის და უპირატესობის წარმოსაჩენად და მკაფიოდ გამოკვეთოს იმ ძირითად მახასიათებლებს, რითაც მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა (ძირითადი სპეციალობა) განსხვავდება მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამებისაგან. რეკომენდებულია, როგორც ძირითადი, ასევე 180 კრედიტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის თვალსაზრისით და კურსდამთავრებულთა კომპეტენციების გაღრმავება განსაკუთრებით, ოპერირების ბაზრებისა და ფინანსების სფეროში, რომლებიც მითითებულია მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში. რეკომენდებულია საბაკალავრო პროგრამებში დასახული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევისათვის, მენეჯმენტის ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის გადახედვა, ზოგადად მოდულში შეთავაზებული კურსების ოპტიმიზაციისა და სავალდებულო კურსების, კერძოდ „ბიზნესის მართვის“ საგნობრივი შინაარსის გამდიდრების თვალსაზრისით, ასევე ზოგიერთი სასწავლო კურსი შესაძლებელია გახდეს სავალდებულო. რეკომენდებულია პროგრამის შესაბამისობაში მოყვანა დარგობრივ მახასიათებელთან უმაღლესი განათლების პირველ საფეხურთან ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მეექვსე დონესთან. რეკომენდებულია კურსის გადახედვა კრედიტების

ვალიდური მოცულობის განსასაზღვრად, კურსის მიზნების მისაღწევი სწავლის შედეგების გასასვლელი შედეგების შესრულებული დავალების ინტენსივობა მოცულობისა და სირთულის სასწავლო რესურსების მოცულობისა და სირთულის აგრეთვე მიღწევების შეფასების სპეციფიკის განსაზღვრის გათვალისწინებით. რეკომენდებულია, კურსების სილაბუსების გადახედვა კურსებში დასახული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევისა და შეფასებისათვის, შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტის განსასაზღვრად. რეკომენდებულია ზოგიერთი სილაბუსის გადახედვა უფრო შესაბამისი შეფასების ფორმების დამატების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუბრიკების შემოღება სტუდენტების კრიტიკული აზროვნების პრობლემის გადაჭრისა და პრობლემის გადაწყვეტის პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის და როგორც კურსის ისე პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის. რეკომენდებულია საბოლოო სადიპლომო ნაშრომის წარდგენა ან სხვა მექანიზმების შექმნა პროგრამის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად, რათა დაკმაყოფილდეს სტანდარტის მოთხოვნა. რეკომენდებულია სილაბუსების გადახედვა, სადაც გუნდური მუშაობის მეთოდი გამოიყენება შეფასების მეთოდად სწავლების შეფასების რუბრიკების აღწერის თვალსაზრისით.

სამაგისტრო პროგრამა 120 კრედიტიან პროგრამასთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაციები, კერძოდ: მენეჯმენტის სპეციალობასთან მიმართებით, რეკომენდებულია ისეთი კურსების შემოღება, რომელიც მოიცავს ბიზნესის კანონმდებლობისა და დაგეგვრის საკითხებს. რეკომენდებულია, კურსი მენეჯერული ეკონომიკა იყოს სავალდებულო. რეკომენდებულია შემოღებული იყოს კურსი პრაქტიკის მართვა, რომელსაც მოყვება შესაბამისი პროგრამები. რეკომენდებულია პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა დარგობრივ მახასიათებლებთან. რეკომენდირებულია, რომ ყველა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ჰქონდეს დოქტორის ხარისხი. „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის“ პროგრამასთან მიმართებით გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია, კერძოდ რეკომენდირებულია პროგრამის განახლება მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, პროგრამაში უნდა დაემატოს კურსი, რომლის შედეგი იქნება „დამოუკიდებლად იღებს ინფორმაციულ სტრატეგიულ გადაწყვეტილებას ეთიკისა და სამართლებრივი რეგულაციების გათვალისწინებით“. რეკომენდირებულია, პროგრამის შესაბამისობაში მოყვანა უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის მოთხოვნებთან კვალიფიკაციების ჩარჩოს მესამე საფეხურთან. რეკომენდირებულია, რომ კვლევის მეთოდების კურსი თანაბარ დროს უთმობდეს რაოდენობრივი და კვლევის მეთოდებს. ასევე, რეკომენდირებულია, რომ უზრუნველყოფილი იქნას ყველა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ჰქონდეს დოქტორის ხარისხი. ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით, ასევე გაცემულ იქნა რეკომენდაციები, კერძოდ, რეკომენდირებულია ბიზნესის ადმინისტრირების დარგობრივი მახასიათებლის უმაღლესი განათლების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. უნდა დაემატოს პროგრამას კურსი, რომლის შედეგი იქნება „დამოუკიდებლად ავითარებს და მართავს პროექტებს უცხო და მულტიდისციპლინარულ გარემოში“. რეკომენდირებულია პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა დარგობრივ მახასიათებლებთან. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამასთან მიმართებით, ასევე გაცემულ იქნა რეკომენდაციები, კერძოდ რეკომენდირებულია კურსის დამატება, რომელიც მოიცავს სწავლებისა და შეფასების მეთოდებს უმაღლესი განათლებაში. ასევე ისეთი კურსის დამატებას, რომელიც უზრუნველყოფს ფართო და მრავალმხრივი ბიზნესის ადმინისტრირების კვლევისა და ცოდნის შექმნის კომპეტენციების მიღწევას. რეკომენდებულია გადიოდნენ კურსს რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებში. რეკომენდებულია ისეთი კომპონენტების შემოღება, რომელიც განავითარებს უნარებს ბიზნესის ადმინისტრირების სხვა სფეროში რომელიც არ წარმოადგენს დოქტორანტების კვლევის ძირითად მიმართულებებს. რეკომენდებულია კვლევის მეთოდებისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების კურსების სავალდებულოდ შემოღებას და ისეთი აქტივობების შემოღებას სადაც დოქტორანტებს მოეთხოვება თავისი კვლევის წარდგენა და უკუკავშირის მიღება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისათვის.

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის თანახელმძღვანელმა თამარ მაღალაშვილმა რეკომენდაციაზე რომელიც ეხებოდა პროგრამების შესაბამისობაში მოყვანას დარგობრივ მახასიათებელთან პირველ და მეორე საფეხურთან კვალიფიკაციების ჩარჩოს მეექვსე და მეშვიდე საფეხურთან აღნიშნა, რომ კლასტერში შემავალი ყველა პროგრამის შინაარსი და მათ შორის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები და მისი სტრუქტურა უზრუნველყოფდა კანონმდებლობით განსაზღვრული შედეგების მიღწევას, რაც დასტურდებოდა პროგრამის შედეგების რუკით, თითოეული პროგრამის შემდეგი იყო გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. ასევე აღნიშნა რომ მიღწევების ჩამოყალიბებისას დაწესებულება ეყრდნობოდა ჩარჩო დოკუმენტებს. პროგრამის სწავლის შედეგებში ნათლად იყო განსაზღვრული დარგისთვის საჭირო ის ცოდნა და უნარები, რომლებსაც მოითხოვდა კვალიფიკაციების ჩარჩო და დარგობრივი მახასიათებელი.

ნინო ჟვანიამ დაამატა რომ 1.2.4.-თან საბაკალავრო პროგრამის რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დასკვნაში არ იყო ნახსენები, რომ პროგრამის სწავლის შედეგები არ შეესაბამება ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მოთხოვნას და ეს არ ეხებოდა მხოლოდ საბაკალავრო პროგრამას. შესაბამისად რეკომენდაცია დაწესებულებისათვის ბუნდოვანია და მიაჩნია, რომ საჭიროებს დაკორექტირებას.

ასევე, პროგრამის ხელმძღვანელმა რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა მენეჯმენტის პროგრამების მკაფიო განსაზღვრული მიზნების შემუშავებასთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ წარმოდგენილ მენეჯმენტის ორივე პროგრამასთან მიმართებით, როგორც 180 ასევე 240 კრედიტიან პროგრამების მიზნები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ. დარგობრივი დოკუმენტის გათვალისწინებით, ასევე თვლიან, რომ განსაზღვრულია პროგრამებში ის უნარები რომელიც საჭიროა. ოთხივე საბაკალავრო პროგრამის მიზნები იდენტურია და განსხვავებული ფორმულირება არ აქვს. ასევე განაცხადა, რომ განსხვავება წარმოდგენილ პროგრამებში იყო ის რომ ოთხწლიანის შემთხვევაში სტუდენტს ეძლეოდა შესაძლებლობა MINOR-ის არჩევისა. რომელიც ნამდვილად არ ქმნიდა განსხვავებული მიზნების ფორმულირების შესაძლებლობას. მათ შორის განსხვავება იყო სწავლების ენა და minor-ის შესაძლებლობას.

თამარ ჯინჭველაძე ბაკალავრის მენეჯმენტის პროგრამის თანახელმძღვანელმა რამდენიმე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დააფიქსირა თავისი მოსაზრება, კერძოდ 1.2. ქვეკომპონენტის რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ძირითადი და 180 კრედიტიანი პროგრამების შედეგების გადახედვას. აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების განსაზღვრისას დარგობრივ მახასიათებელთან ერთად გამოყენებული იყო სტუდენტების, კურსდამთავრებულების, მრჩეველთა საბჭოსა პოტენციურ დამსაქმებელებთან კომუნიკაციის შედეგად ჩატარებული კვლევის შედეგები და ასევე მრჩეველთა საბჭომ გაიზიარა დარგის საჭიროებები, თანამედროვე მოთხოვნები და საერთაშორისო პრაქტიკა, აქცენტი გაკეთდა პრაქტიკული უნარების აქტივობებზე. ასევე აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამები მოიცავდა ცხრა სწავლის შედეგს, რომელიც ეფუძნებოდა დარგობრივ მახასიათებლების სწავლის შედეგებს, ხოლო რეკომენდაციაში გამოთქმულ განსავითარებელ მხარესთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია სხვადასხვა სასწავლო კომპონენტები საჭიროებების შესაბამისად. სავალდებულო კურსებში, მენეჯმენტის საფუძველი, ადამიანურ რესურსების მართვის საფუძველი და სხვა, სადაც დეტალურად იყო მოცემული კურსის შედეგები. მენეჯმენტის საფუძველი მოიცავდა ისეთ საკითხებს როგორიცაა მართვა გლობალურ გარემოში, ფუნქციური სტრატეგიები კონკურენტული უპაიტესობისათვის, ადამიანური რესურსების მართვა და სხვა. ოპერაციული მენეჯმენტის საფუძველი აერთიანებს

ისეთ პრინციპებს როგორიც არის ოპერატიული მენეჯმენტის პრინციპები, სტრატია, კონკურენტუნარიანობა, დაგეგმვა და ა.შ. ადამიანური რესურსების მართვა მოიცავს ისეთ საკითხებს როგორიც არის მართვა გლობალურ ბაზარზე, სამუშაოს დაგეგმარება და მართვა, პერსონალის დაგეგმარება და ა.შ. სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძველი მოიცავს ისეთ საკითხებს როგორიცაა კონკურენტული სტრატეგიები, ბაზარი გლობალიზაციაზე, სტრატეგიის პირობები და ა.შ. განაცხადა მან. მარკეტინგის საფუძველებთან დაკავშირებით თამარ მაღალაშვილმა აღნიშნა, რომ ისწავლება საფუძველები აღნიშნული კურსისა და პრაქტიკა, დაგეგმვა და მისი კომპონენტების შესწავლა, მიკრო და მარკო გარემოს განხილვა ხდება, ასევე ისწავლება კვლევის მნიშვნელობა და მისი ჩატარების სტრატეგია და ა.შ. ასევე მარკეტინგულ შეთავაზება, კონკურენტული გარემოს ფუნქციონირება და ასევე, მდგრადი მარკეტინგი, შესაბამისად ყველა მიმართულება რაც განიხილება აღნიშნული საგნის ირგვლივ.

გიორგი პაპავამ მიკროეკონომიკის და მაკროეკონომიკის თაობაზე აღინიშნა, რომ ყოველკვირეულად იფარებოდა ისეთი მასალა როგორც იყო ბაზრის სტრუქტურები, მისი განვითარების განსაზღვრა, ასევე მომხმარებლების როლი, მათი მოლოდინები და მონოპოლიების შესაძლებლობა. ყველა ის საკითხი რაც ბაზრებთან ეკონომიკურ პერსპექტივაში შესაძლებელია იყოს წარმოდგენილი გათვალისწინებულია მაქსიმალურად კურსებში. მაკროეკონომიკის კუთხითაც, შრომის და ბაზრის კაპიტალი, ეს თემებიც იფარება გაწერილი კურსებით, პრეზენტაცია მორგებულია, ისე რომ შესწავლილი იქნეს როგორც შიდა ასევე გარე ფაქტორები. ასევე, აღნიშნა, რომ მენეჯმენტის დარგობრივ მახასიათებელში ფინანსების სფეროში გათვალისწინებულია ფინანსების წყაროები, მართვა და ბუღალტრულ აღრიცხვა ინფორმაციული სისტემების გამოყენებას, მართვასთან დაკავშირებულ ჭრილში. ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაში იყო ორი საგანი რომლითაც იფარებოდა ეს საკითხები, კერძოდ „ფინანსური მენეჯმენტის საფუძველები“ და „ფინანსური აღრიცხვა მენეჯერებისთვის“. რომელთა სილაბუსებში გათვალისწინებული იყო, რომ ფინანსური აღრიცხვის საფუძველების კურსში ისწავლება მენეჯმენტის არსზე, ბიზნესის საგადასახადო და ფინანსურ გარემოს მიმოხილვა და ასევე ის თემები რომლებითაც იფარება ფინანსების წყაროები და გამოყენება და ა.შ. ყველა ის საკითხი რომლითაც იფარება ძირითადი არის პროგრამაში მითითებული საგნისა. რაც შეეხება მეორე საგანს, განაცხადა რომ წარმოდგენილია სილაბუსში სავალდებულო საგნები, გამომდინარე იქედან, რომ შესავალი საგანია, იწყება საფუძველების გაცნობითა და მასთან დაკავშირებული საკითხებით, ასევე შემდეგომ დეტალებში ხდება ანგარიშების მომზადების ფინანსური შედგენა, საბოლოო ჯამში იფარება საკითხებით ძირითად თემები.

დასკვნაში მოცემულია 1.2. ნაწილში პროგრამის სწავლის შედეგების სრულად ასახავს დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ ცოდნასა და უნარებს, მსგავსი ჩანაწერია, შესაბამისად თამარ ჯინჭველაძემ აღნიშნა, რომ შემდეგ რეკომენდაციაში არსებული ჩანაწერი წინააღმდეგობაში მოდიოდა ერთმანეთთან.

ექსპერტმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და კლასიფიკატორთან შესაბამისობის საკითხი არ იდგა დღის წესრიგში, საბოლოო დასკვნის პროექტში ჩასწორებული იყო უკვე და წარმოდგენდა იგი ტექნიკურ ხარვეზს, ვინაიდან აღნიშნა, რომ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და კლასიფიკატორთან პროგრამების შეუსაბამობა, რომ ყოფილიყო ექსპერტების მიერ ვერ შეფასდებოდა ეს პროგრამები როგორც „მეტწილად შესაბამისობაში“. შესაბამისად ეს ნაწილი დასაკორექტირებელია. დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში იგულისხმება პროგრამა და ცალკეულ საკითხებს არ აქვს ფორმალური შესაბამისობის პრობლემა, კიდევ ერთხელ დაადასტურა ექსპერტმა. შესაბამისად, აღნიშნა, რომ გაცემულ რეკომენდაციაში იგულისხმება არ მხოლოდ ცალკეული საკითხების ფორმალური განხილვა, არამედ განხილული საკითხების სიღრმე. მაგალითად ეთიკური პასუხისმგებლობა და მდგრადი განვითარება, მეათე მინიშნება დარგობრივ მახასიათებელში, ფორმალურად, იფარება წარმოდგენილი კურსებით, მაგალითად კურსით „ეთიკა და კომუნიკაცია“, სავალდებულო კურსი, ასევე არჩევითი კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა, ასევე საგულისხმოა რომ სოციალური პასუხისმგებლობის საკითხი ასევე

ჩაშენებულია სხვადასხვა კურსებში. რაც შეეხება სავალდებულო კურსს, აღნიშნა, რომ საუბარია ეთიკაზე და კომუნიკაციაზე, შესაბამისად თუ კი სტუდენტმა უნდა შეძლოს ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომ უზრუნველყოს მდგრადი განვითარება, ამ შემთხვევაში მხოლოდ ის საგნები რაც წარმოდგენილია პროგრამაში მას ვერ მისცემდა ამ ცოდნას, შესაბამისად უმჯობესია გადამუშავებულიყო და რელევანტური საკითხებით ყოფილიყო შევსებული. ერთი მხრივ თემების დუბლირება ხდებოდა სხვადასხვა კურსებში, თუმცა საფუძველი ვერ უზრუნველყოფდა სრულად შესაბამის ცოდნას, ამიტომაც საჭირო იყო გადრმავებაზე და განმტკიცებაზე ორიენტირებული სასწავლო კურსები. ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაში არ ჩანდა გადრმავებაზე ორიენტირებული სასწავლო კურსები. შესაბამისად რთული იქნებოდა სტუდენტისათვის რომ მას შესძლებოდა ბიზნეს რისკების იდენტიფიცირება და ანალიზი. წარმოდგენის დონეზე იყო კურსები რომელიც ფარავდა გარკვეულ საკითხებს, ფორმალურად შესაბამისი პროგრამები, თუმცა სიღრმისეულ საკითხებზე გასვლა უჭირდა იმ საკითხებს რომელიც მნიშვნელოვანი იყო და ჩარჩო დოკუმენტში კვალიფიკაციებისა მეოთხე დონეზე იყო მითითებული.

თამარ მაღალაშვილმა განაცხადა, რომ მარკეტინგის მიმართულებით, საფუძვლებში საკმაოდ წარმოჩენილი იყო გაყიდვების ნაწილი, როგორც პერსონალური ასევე პირდაპირ მარკეტინგის მიმართულებით. შესაბამისად სტუდენტს, სავალდებულო საგანში ექნებოდა კარგი ცოდნა, გარკვეულწილად უნარების გამომჟღავნების მცდელობა გაყიდვებთან მიმართებითაც, ხოლო შემდგომ არჩევითი საგნები გაყიდვების მიმართულებით, კიდევ უფრო მეტად აღრმავებს თეორიულ ცოდნას, ასევე პრაქტიკულ უნარებს.

ეკატერინე ნაცვლიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ იყო შემოთავაზება საბაკალავრო ნაშრომთან და პრაქტიკასთან დაკავშირებით, განმარტა რომ კომპლექსურად შედეგების დასადასტურებლად რაიმე მექანიზმი არ იკვეთებოდა სათანადოდ ცოდნის უნარების შეფასებისა. შესაბამისად პრაქტიკაც და საბაკალავრო ნაშრომიც იყო არჩევით საგნად, რომელიც ვერ ჩაითვლებოდა შედეგების დასადასტურებლად ვალიდურად. ეკატერინე მაღალაშვილმა აღნიშნა, რომ მართალია საბაკალავრო ნაშრომი იყო არჩევით საგნად, თუმცა პროგრამის სავალდებულო საგნებით რომელიც იყო პროგრამაში, სტუდენტისათვის ცოდნის შეკვრისა და საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის, სხვადასხვა საგნებში იყო ჩაშენებული. მაგალითად „მარკეტინგული კვლევა“, სტუდენტები ასრულებენ და ატარებენ მარკეტინგულ კვლევას შესაბამისად აღნიშნულის საგნის შემდეგ ნათელი წარმოდგენა ექმნებათ სრულ შედეგებზე განაცხადა მან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოდგენათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრ ციური დურულს კითხვა ჰქონდა პრაქტიკის კომპონენტთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ წარმოდგენილი იყო „პრაქტიკის კონცეფცია“, მას აინტერესებდა ხომ არ იქნებოდა უკეთესი, სავალდებულო კურსად ყოფილიყო წარმოდგენილი. ვინაიდან არსებობდა ჩანაწერი, რომ თუ კი პირი დასაქმებულია შესაბამისი პროფილის ორგანიზაციაში და წარმოდგენდა ის დოკუმენტს ამის შესახებ, იგი შეიძლება გათავისუფლებული ყოფილიყო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის გავლის ვალდებულებისაგან.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საკანონმდებლო განაწესით უნივერსიტეტი არ არის ვალდებული პრაქტიკა იყოს სავალდებულოდ მოთხოვნადი, საგულისხმოა, რომ სტუდენტების დიდი ნაწილი მუშაობდა. შესაბამისად თუკი სტუდენტს არჩეული ჰქონდა პრაქტიკის კომპონენტი, ხდებოდა მისი დასაქმების ადგილიდან გამომდინარე გათავისუფლება გავლის ვალდებულებისაგან და ჩაეთვლებოდა ზემოაღნიშნული პრაქტიკა. ასევე, მნიშვნელოვანად აღინიშნა, რომ პრაქტიკის კომპონენტი საგნებში წარმოდგენილი იყო საკმაოდ დიდი დოზით, შესაბამისად პრაქტიკის სავალდებულოობა სწორედ ამიტომაც არ იდგა დღის წესრიგში. საბაკალავრო პროგრამა იმგვარად იყო აგებული, რომ სტუდენტს ჰქონოდა

შესაძლებლობა ზოგადი ცოდნა მიეღო ყველა იმ ასპექტში რაც დარგობრივი მახასიათებლით იყო განსაზღვრული, ხოლო უფრო კონკრეტული და სიღრმისეული ცოდნის მიღების შესაძლებლობა მათ ექნებოდათ შემდეგ საფეხურზე.

საბჭოს წევრ გიორგი ღაღანიძეს შეკითხვები ჰქონდა როგორც ექსპერტებთან, ასევე დაწესებულებასთან. ერთ-ერთი დარგობრივ მახასიათებელთან გაცემული რეკომენდაციის ფარგლებში, ის დაინტერესდა იყო თუ არა დარგობრივ მახასიათებელთან პროგრამა შესაბამისობაში და თუ არ იყო, რა ნაწილში, საუბარი იყო 1.4.2. რეკომენდაციაზე. ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის ფორმალური შესაბამისობა სახეზე იყო, მაგრამ სიღრმისეულად არ იყო შესაბამისი.

ასევე ეკა გეგეშიძემ აღნიშნა, რომ განსხვავებები დარგობრივ მახასიათებელთან არ იყო ძალიან ღრმა. იყო პროგრამები, სადაც დარგობრივი მახასიათებლის შედეგი არ იკითხებოდა, მეორე ის რომ შეფასების საფუძველზე არ დასტურდებოდა კონკრეტული უნარი. შესაბამისად, სწორედ ამას ემსახურებოდა ექსპერტების რეკომენდაციები რომ პრაქტიკა, ნაშრომი ან შესაბამის საგნებში ჩაშენებულ პრაქტიკებთან და ასევე რუბრიკებთან დაკავშირებითაც იყო ექსპერტების რეკომენდაციები, რათა შედეგები ყოფილიყო კონკრეტული.

საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა ერთ-ერთ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ უზრუნველყოფილი იყოს სამაგისტრო პროგრამის ნაშრომის ხელმძღვანელს ჰქონდეს დოქტორის ხარისხი. ის დაინტერესდა რატომ იყო ისეთი შემთხვევები სახეზე, რომ ამ რეკომენდაციის გაცემის საჭიროება დადგა. ასევე დაინტერესდა სადოქტორო ნაშრომის მოცულობის მინიმალური რაოდენობის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ მკაცრი განსაზღვრება სადოქტორო მოცულობის რაოდენობაზე არ ჰქონდა დაწესებულებას. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესებში მითითებული იყო, რომ ხელმძღვანელი უნდა იყოს აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, რომელსაც აქვს კვლევის გამოცდილება იმ სფეროში, რომელიც ახლოს არის მაგისტრანტის კვლევის საგანთან.

საბჭოს წევრ გოჩა თუთბერიძეს კითხვა ჰქონდა დაწესებულებასთან, მან აღნიშნა, რომ ინსტიტუცია ამზადებს მაღალკვალიფიციურ კადრებს, ასევე დაამატა რომ ბიზნეს სამართალი და მმართველობითი აღრიცხვის საფუძვლები, იყო წარმოდგენილი არჩევითი საგნებში, მისი მოსაზრებით, კურსების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ისინი უნდა იყოს სავალდებულო, ვინაიდან კომპანიის დირექტორმა ეს საკითხები კარგად უნდა იცოდეს თავისი საქმიანობის ფარგლებში. ასევე აღნიშნა რომ მდგრადი განვითარების მიმართულებით სასწავლო კურსის შემოღება იქნებოდა სასურველი, არჩევით კურსად მაინც. ასევე უნდა გადაიხედოს და სასწავლო კურსებში იქნას შეტანილი მსგავსი საკითხები. საბჭოს წევრმა განმარტა რომ „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში“ სასწავლო კურსს ჰქონდა 12 კრედიტი, მისი თქმით ეს კარგი სასწავლო კურსია, თუმცა მიაჩნია რომ უფრო ოპტიმალურ დონეზე უნდა იყოს დაყვანილი მისი კრედიტები და არსებული კრედიტების გადანაწილება დარგობრივ კურსებზე მოხდეს.

ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ პროგრამების კრედიტების გადახედვა ხდება პერიოდულად, იმისათვის რომ გაირკვეს დატვირთვა რამდენად რელევანტურია, ამისათვის ხდება გამოკითხვების ჩატარება, რომლის შედეგებსაც დაწესებულება იყენებს შიდა შეფასების ნაწილში. ასევე, აღნიშნა რომ „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში“, იყო საუნივერსიტეტო სწავლების საგანი ყველა დარგში, შესაბამისად ამ ნაწილში არ ეთანხმებოდა საბჭოს წევრს, რომ მზა რეცეპტი უნდა არსებულიყო იმისა, თუ რომელი კომპონენტის ხარჯზე უნდა მოხდეს სხვა კომპონენტების გაუმჯობესება. თუმცა, კრედიტების გადანაწილება პროგრამის შემთხვევაში პერიოდულად ხდებოდა.

ნიკოლოზ ყაველაშვილმა აღნიშნა, რომ სტუდენტების თვალსაწიერის გაზრდა საუნივერსიტეტო დონეზე მაღალ ხარისხშია და ხდება არამხოლოდ კონკრეტული დარგის

სწავლება ვიწრო გაგებით, არამედ მათი ფართო აზროვნებისაკენ მიმართვა და ზოგადი ცოდნის მიცემა, სწორედ სავა დებულო კურსი „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში“ ემსახურებოდა ამ მიდგომას.

გიორგი გვალამ აღნიშნა, რომ ზოგად საუნივერსიტეტო კურსი იყო „შთა“ რომელიც სავალდებულოა ყველა პროგრამისათვის სტუდენტისათვის და მისი მიზანია ბევრი დისციპლინისათვის ფუნდამენტურ საკითხებზე თვალსაწიერის გაფართოება სტუდენტებისათვის, მასში შემავალი სხვადასხვა ლიტერატურიდან გამომდინარე. ექსპერტმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტები ვერ ჩაერევიათ ამ კურსის სწავლების უნივერსიტეტის არჩევანში, მთავარია რომ დარგობრივ მახასიათებლით გაწერილი ძირითადი კომპონენტები ისე დაიფაროს, როგორც გათვალისწინებულია. ასევე აღნიშნა, რომ 180 კრედიტიანი პროგრამა ახალია, შესაბამისად მეტი აქცენტი უნდა იქნეს გადატანილი დარგობრივ კომპეტენციაზე, შესაბამისად, სასურველი იქნება ამ მიმართულებით საუნივერსიტეტო მოდულის კრედიტების შემცირება მოხდეს 180 კრედიტიანი პროგრამის არსებობს პირობებში. თავისუფალი კრედიტების შემცირების ხარჯზე სასურველია გაიზარდოს დარგობრივი დოკუმენტით გათვალისწინებულ სავალდებულოს მიმართულებების გაძლიერება და საკითხების დაფარვა, განაცხადა მან.

საბჭოს თავმჯდომარეს სწავლის შეფასების გეგმასთან დაკავშირებით ჰქონდა კითხვა, ბაკალავრიატის მიმართულებით, ინსტიტუციასთან, მან აღნიშნა რომ ძირითადი სწავლის შედეგების შემოწმება ხდებოდა ისეთ საგნებით, როგორც იყო მაგალითად მენეჯმენტის და მარკეტინგის საფუძველები, საბაზისო საგნებით და თან არა იმ სემესტრში, როდესაც ეს საგნები იკითხებოდა, მაგალითად პირველი შედეგის შემოწმება ხდებოდა მეოთხე სემესტრში მენეჯმენტის საფუძველებით, რომლის დასკვნითი გამოცდა იყო მესამე სემესტრში, უმეტესობა საგნებისა რომლითაც ხდებოდა შედეგების შეფასება იყო საბაზისო. შესაბამისად, მას აინტერესებდა რამდენად რელევანტურად მიაჩნდა დაწესებულებას ეს მოცემულობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ჟვანია აღნიშნა, რომ როგორც წესი არ იყენებდა დაწესებულება შესავალი კურსებს სამიზნე ნიშნულებისათვის, არამედ იყენებდნენ უფრო მაღალი სემესტრი კურსებს. ასევე აღნიშნა, რომ მეორე სწავლის შედეგი სადაც აღნიშნულია, რომ ანალიზებს სხვადასხვა ტიპის სტრუქტურულ ორგანიზაციულ ფუნქციონირებას მოქმედი მიკრო და მაკრო მოქმედ ცვალებად გარემო ფაქტორებთან, ამ მოცემულობაში დაწესებულებას ჰქონდა მაკრო ეკონომიკის პრინციპები აღებული რომელიც იყო მიკროს შემდგომ მომდევნო საგანი, შესაბამისად მხოლოდ საბაზისო საგნები არ იყო მოცემული შეფასებისას, ასევე იყო ბიზნეს ეთიკა და კომუნიკაცია, რომელიც მეშვიდე სემესტრში ისწავლება, ასევე მეწარმეობის პრაქტიკული კურსი, რომელიც ისწავლება მეცხრე სემესტრში. მენეჯმენტის ნაწილში სწორედ მენეჯმენტის საფუძველებია ის საგანი, რომელიც გადის სწორედ შედეგზე, რაც გათვალისწინებულია კანონით, ვინაიდან მოიცავს იმ თეორიებს პრინციპებს რაც მნიშვნელოვანია, რომ მენეჯერებმა იცოდნენ.

ექსპერტმა ეკა ნაცვლიშვილმა, აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების შეფასების ნაწილში საბაზისო კურსები გადიოდნენ გაცნობის ნაწილზე, გაღრმავებისა და გამტკიცებს ნაწილში ვერ გამოიყენება. შესაბამისად, მაკრო ეკონომიკის პრინციპები იყო სწორედ საბაზისო პრინციპები, მიუხედავად იმისა, რომ მიკრო ეკონომიკას მოყვებოდა, რაღაც ნაწილს გააღრმავებდა იგი და რაღაც ნაწილს გაიყვანდა გაცნობის დონეზე. ვინაიდან პროგრამა რჩებოდა ღია, სწორედ ამიტომაც იყო საუბარი ექსპერტების მხრიდან, ან პრაქტიკა, ან საბაკალავრო პროექტი, ან რაიმე სხვა რომელიც დაფარავდა და გააღრმავებდა და გაამტკიცებდა იმ ცოდნასა და უნარებს პროგრამის ფარგლებში სწავლის შედეგებით რაც იყო გათვალისწინებული. ვინაიდან მეწარმეობის კურსი ვერ დაფარავდა ყველა სწავლის შედეგს, შესაბამისად სასურველი იყო ამ ჭრილში გადახედილიყო პროგრამა რომ არ დარჩენოდა გაღრმავების გარეშე რომელიმე სასწავლო კურსი.

„ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა სოფიო ლებანიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ წარმოდგენილ დასკვნაში იყო რიგი უზუსტობები

და საკითხები, რომელიც ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდიოდა, დასკვნის პროექტის 29-ე გვერდზე მითითებულია, რომ პროგრამა განსაზღვრავს ექვსი წლის სწავლის შედეგს და სრულად ასახავს მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს. ასევე, დასკვნის პროექტშივე წერია, რომ განსაზღვრული დონის შესაბამისია ცოდნასა და უნარებს კურსდამთავრებულებს გადასცემს, ასევე მოცემულია რეკომენდაცია რომელიც ეხებოდა განათლების დარგობრივ მახასიათებლებს, რომ პროგრამას უნდა დაემატოს კურსი, რომლის შედეგი იქნება „დამოუკიდებლად იღებს ინფორმირებულ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს ეთიკისა და სამართლებრივი რეგულირების გადაწყვეტილებებს“, აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაცია მეორდებოდა დასკვნაში სხვა შინაარსითაც. ასევე, მითითებულია, რომ სამართლის და დაბეგვრის საკითხებსაც უნდა მოიცავდეს ეს კურსი. შესაბამისად მითითებულია, რომ ინფორმირებული და სტრატეგიული გადაწყვეტილებები მაგისტრანტმა უნდა მიიღოს კონკრეტული კურსზე დაფუძნებით. ასევე განაცხადა, რომ კურსში არის სავალდებულო საგანი ჯანდაცვის სამართლებრივი ასპექტები და ბიოეთიკა, რომელიც სრულად ფარავდა ჯანდაცვის სისტემის სპეციფიურ ცოდნას, რომელიც თანხვედრაშია დარგობრივ მახასიათებელთან. შესაბამისად, მიაჩნია რომ გაცემული რეკომენდაცია იყო ბუნდოვანი. აღნიშნა, რომ ეთიკისა და სამართლებრივი საკითხების განსაზღვრისათვის სავალდებულო კურსები გათვალისწინებულია. ასევე, მეორე რეკომენდაცია დარგობრივი მახასიათებლების მეშვიდე საფეხურთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამით განსაზღვრული ყველა სავალდებულო და არჩევითი კურსი სრულად პასუხობდა დარგობრივ მახასიათებლების ყველა მოთხოვნას. რეკომენდაციასთან დაკავშირებით, - თანაბარი ყურადღება დაეთმოდა კვლევის ნაწილში რაოდენობრივ და კვლევით მეთოდებს - განაცხადა რომ კონკრეტული სილაბუსების განხილვის დონეზეა შესაძლებელი იმის მტკიცება, რომ თანაბარი ყურადღება ეთმოდა ორივე მიმართულებას კვლევისას. ასევე აღნიშნა, რომ დასკვნაში იყო უზუსტობა დასკვნის 59 გვერდზე, მითითებულია, რომ პროგრამის მიხედვით რაოდენობრივი კვლების მეთოდების კურსი იწყებოდა რეგრესიის წესით, და ამ მიზეზით შიდა გამოცდები შეიცავდა საკითხებს რომლებიც ეხებოდა რაოდენობრივი კვლევის შესავალ ნაწილს. აღნიშნა, რომ რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს არ მოიცავდა სამაგისტრო პროგრამა, შესაბამისად იყო უზუსტობა ამგვარი ჩანაწერი.

ნინო პატარაიამ ინგლისურენოვან ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამასთან მიმართებაში აღნიშნა, რომ პროგრამა ხუთივე სტანდარტში იყო როგორც სრულად შესაბამისი მოთხოვნებთან, თუმცა ფიგურირებდა ერთი რეკომენდაცია, რომ პროგრამას უნდა დაემატოს კურსი, რომლის შედეგი იქნება „დამოუკიდებლად ავითარებს ან მართავს პროექტის უცხოურ მულტიიდისციპლინურ გარემოში“ აღნიშნა, რომ პროგრამა ხორციელდებოდა ავსტრიის გამოყენებით უნივერსიტეტთან ერთად, და მას გავლილი ჰქონდა როგორც შიდა, ასევე გარე შეფასება. რაც შეეხება სადოქტორო პროგრამას აღნიშნა, რომ იყო უზუსტობებია დასკვნაში, პირველი რეკომენდაცია, თანამედროვე სწავლებისა და სწავლის მეთოდების გაღრმავებული კურსის დამატებაზე, აღნიშნა რომ დაწესებულება მუდმივად ახორციელებდა პროგრამების შეფასებას და ასევე აღნიშნა, რომ მსგავსი კურსი იყო სავალდებულო კომპონენტად, ასევე საგულისხმოა რომ დოქტორანტების უმრავლესობას ჰქონდა მრავალწლიანი სწავლების გამოცდილება, შესაბამისად მათი უკუკავშირით მოხდა გათვალისწინება რომ უფრო მეტად ოპტიმალურად გამოყენებულიყო მათი დროც და სავალდებულო კურსის გატანა მომხდარიყო და ჩანაცვლებულიყო სასერტიფიკაციო კურსით, რომელსაც უნივერსიტეტი სავალდებულო კომპონენტად სთავაზობდა და რომელსაც ახორციელებდა პროფესიული განვითარების ცენტრი. აქვე ყურადღება გაამახვილა, რომ მოცემული კომპონენტი არის საფუძველი იმისა, რომ დოქტორანტმა დაიწყოს სწავლების ასისტირება და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს დოქტორანტი ამ პროცესში ჩართვას. ასევე იყო ტექნიკური ხარვეზი იმასთან დაკავშირებით, რომ მხოლოდ და მხოლოდ ერთ კომპონენტში ხდება ასისტირების განხორციელება. ამ დროს განსაზღვრულია ასისტირების კონცეფცია, სადაც მკაფიოდაა განსაზღვრული რომ დოქტორანტმა უნდა შეასრულოს სავალდებულო კომპონენტი, როგორც კვლევის

ასისტირებაში, რომელიც გულისხმობს თემის ხელმძღვანელობას ასევე სწავლების კუთხით. ასევე აღნიშნა, რომ ასისტირების კომპონენტი ექვემდებარება შეფასებას. ასევე ყურადღება გამახვილდა რეკომენდაციაზე 2.2. ქვესტანდარტისა, გაცემული რეკომენდაცია მიაჩნია რომ არარელევანტურია, ვინაიდან აღნიშნა, რომ არჩევითი კურსი არის პროგრამაში რომელიც ფარავს კვლევის მეთოდებს. 1.2. ქვესტანდარტთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა - დოქტორანტების უზრუნველყოფას რათა გადიოდნენ კურსებს, რომელიც მოიცავდა შესაძლებლობას რომ გადიოდნენ კურსებს, რომელიც მოიცავდა, როგორც რაოდენობრივ ისე თვისობრივ კვლევის მეთოდებს, - უნივერსიტეტის მიდგომა იყო, რომ ჰქონოდათ შესაძლებლობა აერჩიათ იმ მეთოდების კურსი რომელიც მათ კვლევით საკითხს ფარავს, შესაბამისად აქვს შესაძლებლობა აირჩიონ რაოდენობრივი ან თვისობრივი კურსები, ასევე შესაძლებელია დოქტორანტმა კრედიტების გარეშე სამაგისტრო პროგრამიდან გაიარონ აღდგენითი კურსები, იმ შემთხვევაში თუ მათ ექნებათ საჭიროება ერთი ან მეორე მიმართულებით კურსების აღების. შესაბამისად მიიჩნია დაწესებულებამ რომ დოქტორანტებისთვის კვლევის მეთოდებთან დაკავშირებული საკითხები დაფარულიყო. ასევე, კიდევ ერთი რეკომენდაცია ეხება კურსების დამატებას. უზრუნველყოფილი ყოფილიყო მრავალმხრივი ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით კურსების დამატება, დაწესებულებამ აღნიშნა, რომ ვერ ნახეს მოთხოვნა რომ სავალდებულო წესით ყოფილიყო კურსები გათვალისწინებული, შესაბამისად ეს მოთხოვნა მიაჩნიათ არარელევანტურად. ასევე მიაჩნიათ, რომ არსებული ფორმით რეკომენდაციები არ უნდა იყოს დატოვებული. ნინო პატარაიამ კოლოქვიუმთან დაკავშირებით განაცხადა, რომ როგორც სემესტრულ გეგმაში იყო გაწერილი, სავალდებულო კომპონენტია რომ დოქტორანტმა თავისი ანგარიში სემესტრში ერთხელ წარადგინოს კოლოქვიუმზე, რომელსაც ესწრებიან არამხოლოდ ხელმძღვანელები, არამედ ყველა დარგობრივი კომისიის წევრები, და ხშირ შემთხვევაში მოწვეული დაინტერესებული მხარეები. აღნიშნული წლებია ხორციელდება, შესაბამისად რჩევა რომელიც იყო უკუკავშირების მექანიზმების არსებობასთან დაკავშირებით, უკვე წლებია ხორციელდება დაწესებულებაში.

ექსპერტმა ეკა გეგეშიძემ განაცხადა რომ გაცემული რეკომენდაციების მოტივაცია იყო მაგისტრატურის პროგრამები იყო ყველაზე საუკეთესო სადაც იყო კონკრეტული შედეგის გამოწვევა, რომ კონკრეტული შედეგით არ იფარებოდა პოლიტიკის მიმართულებით. რაც შეეხება სადოქტორო პროგრამას, წარმომადგენლებმაც აღნიშნა, რომ დოქტორის ხარისხი ენიჭება დოქტორანტს არა არჩეულ თემაში, არამედ ბიზნესის ადმინისტრირებაში. შესაბამისად ცხადია, რომ ეს საკითხი პრობლემურია, ასევე განაცხადა, რომ წარმოდგენილ პროგრამაში მხოლოდ 24 კრედიტი იყო ძირითადი საგნების, აქედან მხოლოდ და მხოლოდ აკადემიური წერა სამეცნიერო პუბლიკაციებისთვის იყო ძირითადი კურსი, ხოლო ასისტირება იყო 18 კრედიტიანი, ფაქტობრივად არც დარგობრივი სემინარი იყო პროგრამაში წარმოდგენილი, ასევე რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდები, პროგრამაში იყო არჩევითი კურსი, მხოლოდ რომელიმე კონკრეტული მიმართულებით. თვისობრივი ანალიზი NVivo პროგრამაში, პანელური მონაცემის ანალიზი NVivo - ში და დროითი მწკრივების ანალიზი NVivo - ში, - სამიდან ერთ-ერთი გამოიყენება. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ამ სტრუქტურით ვერ აძლევს ბიზნეს ადმინისტრირებისათვის საჭირო კვლევით კომპონენტის ცოდნას შესაბამის სადოქტორო პროგრამის მიმართულებით. ასევე არ იყო დარგობრივი სემინარები პროგრამაში წარმოდგენილი შესაბამისად მიაჩნიათ რომ ამ კუთხით იყო პროგრამა განსავითარებელი. სადოქტორო პროგრამის თანახმდგენელმა, ნინო პატარაიამ აღნიშნა, რომ ასისტირების პრერეკვიზიტი იყო სწავლების ტრეინინგი, რომელსაც საუნივერსიტეტო ცენტრი სთავაზობს, ეს კომპონენტი დაცულია, სემინარებში რასაც გულისხმობს ექსპერტები, ამას დაწესებულებაში ქვია კოლოქვიუმი, რომელიც წელიწადში ერთხელ მაინც ვალდებულია წარმოადგინოს. ექსპერტმა ეკა გეგეშიძემ აღნიშნა, რომ არის დოქტორანტის პროგრესი და არა როგორც საკვლევი კურსი, სხვა თემატიკაზე, რითაც დასტურდება ზოგადი ბიზნეს ადმინისტრირების კომპეტენცია, რაზეც საუბრობს ექსპერტთა ჯგუფი.

ნინო პატარაიამ აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში მოქმედებდა დუალური პროგრამა, შესაბამისად საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით შეიქმნა წარმოდგენილი პროგრამები და სადაც საუკეთესო პრაქტიკები იყო გათვალისწინებული. ასევე აღნიშნა, რომ ასისტირების ნაწილში სავალდებულოა 12 კრედიტი, კვლევითი მეთოდოლოგიური კურსებიც იყო სავალდებულო კომპონენტში და ჯამში 30 კრედიტი არის სავალდებულო კურსებისა. ასევე, საერთაშორისო სადოქტორო სკოლა რომელიც წლებია ფუნქციონირებს უნივერსიტეტში, დოქტორანტს აქვს შესაძლებლობა თავისი საჭიროებიდან გამომდინარე დაესწროს შესაბამისად კურსებს. ასევე აღნიშნა, რომ კვლევის მეთოდების კურსებიდან ერთი იყო სავალდებულო არჩევითი, რომელის არჩევის ვალდებულება ჰქონდა დოქტორანტს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში პროგრამაშივე იყო შესაძლებლობა სამაგისტრო საფეხურიდან აერჩია შესაბამისი საჭიროების საგანი კრედიტის გარეშე. რაც შეეხება თემატიკებს, პრაქტიკის გათვალისწინებით შეირჩა მიდგომა რომლის მიხედვითაც არ იქნება სავალდებულო სხვა თემატური მიმართულებიდან სავალდებულო კურსების აღება იმ შემთხვევაში თუ უშუალოდ არ იკვლევს საკითხს დაწესებულებას მიაჩნია, რომ ეს მიდგომა იყო სწორი.

თამარ მაღალაშვილმა „მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით აღნიშნა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო პროგრამის შესაბამისობასთან დაკავშირებით. განაცხადა, რომ პროგრამის სტრუქტურა შინაარსი და ყველა კომპონენტის ერთობლიობა უზრუნველყოფს გათვალისწინებულ შედეგებს და დადასტურებულია იმ რუკით რომელიც წარმოდგენილია. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისად ნათლად იყო განსაზღვრული შესაბამისი დარგის ცოდნა, როგორც მოითხოვს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო. ასევე, იყო რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა ისეთი კურსების შემოღებულიყო რომელიც მოიცავდა დაბეგვრის საკითხებსა და ბიზნესის კანონმდებლობას, აღნიშნა რომ სხვადასხვა საგნებში იყო განხილული. ასევე, ექსპერტების რეკომენდაციით, „მენეჯერული ეკონომიკა“ სავალდებულო საგნად უნდა ყოფილიყო პროგრამაში, თუმცა აღსანიშნავია, რომ დარგობრივი მახასიათებელი არ მოითხოვდა აღნიშნულ მიდგომას.

ნინო ჟვანიაშვილმა შუამდგომლობა დააყენა საბჭოს წინაშე რომ მიღებული გადაწყვეტილებები ძალაში შესულიყო საბჭოს ჩატარების დღეს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:17

დასრულების დრო: 19:55

პროგრამა 1: მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის საბჭომ, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო დოკუმენტაციის შეფასების და ზეპირი მოსმენის დროს გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე, ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და რეკომენდაციები, კერძოდ 1.3 კომპონენტში დაამატა კლასტერული რეკომენდაცია, შედეგად 1.3 კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნულმა არ შეცვალა პირველი სტანდარტის შეფასება და ის „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2031 წლის 30 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2031 წლის 30 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

პროგრამას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:**რეკომენდაციები:**

1. რეკომენდებულია მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამების მკაფიოდ განსაზღვრული მიზნების შემუშავება, რომელიც მიმართული იქნება თითოეული საბაკალავრო პროგრამის (180 ECTS და 240 ECTS) უნიკალურობისა და კონკურენტული უპირატესობების წარმოჩენისკენ და მკაფიოდ გამოკვეთს იმ ძირითად მახასიათებელს, რითაც მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამები (ძირითადი სპეციალობა, 240 ECTS) განსხვავდება მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამებისგან (180 ECTS);
2. რეკომენდებულია მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამების (ძირითადი სპეციალობა) და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის (180 ECTS) სწავლის შედეგების გადახედვა ბაკალავრის ხარისხის მისაღებად საჭირო სწავლის შედეგებთან შესაბამისობის თვალსაზრისით და კურსდამთავრებულთა კომპეტენციების გაღრმავება (განსაკუთრებით ოპერირების; ბაზრებისა და ფინანსების სფეროში), რომლებიც მითითებულია მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში;
3. რეკომენდებულია გადაიხედოს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები (უზრუნველყოფილი იქნას პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევა გაცნობის, გაღრმავება, გამტკიცების დონეზე);
4. რეკომენდებულია საბაკალავრო პროგრამებში დასახული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევისთვის, მენეჯმენტის ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის გადახედვა ზოგად მოდულში შეთავაზებული კურსების ოპტიმიზაციისა და სავალდებულო კურსების, კერძოდ ბიზნესის მართვის საგნობრივი შინაარსის გამდიდრების თვალსაზრისით (ზოგიერთი არჩევითი საგნობრივი კურსი ასევე შეიძლება შეიცვალოს სავალდებულოთი). ეს გადახედვა საჭიროა ბაკალავრის ხარისხის მისაღებად და კურსდამთავრებულთა კომპეტენციების გასაღრმავებლად იმ საკითხებში, რომლებიც მითითებულია მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში;
5. რეკომენდებულია პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა დარგობრივ მახასიათებლებთან, უმაღლესი განათლების I საფეხურთან, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონესთან, იხილეთ <https://eqe.ge/en/page/static/1028/biznesi-administririba-da-samartali>;
6. რეკომენდებულია ყველა კურსის გადახედვა კრედიტების ვალიდური მოცულობის განსასაზღვრად, კურსის მიზნებისა და მისაღწევი სწავლის შედეგების, გასავლელი

თემების, შესასრულებელი დავალებების ინტენსივობის, მოცულობისა და სირთულის, სასწავლო რესურსების მოცულობისა და სირთულის, აგრეთვე მიღწევების შეფასების სპეციფიკის გათვალისწინებით;

7. რეკომენდებულია კურსების სილაბუსების გადახედვა კურსებში დასახული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევისა და შეფასებისთვის შესაბამისი შეფასების მეთოდების/ინსტრუმენტების განსასაზღვრად;
8. რეკომენდებულია ზოგიერთი სილაბუსის (მაგ., ადამიანური რესურსების მართვის საფუძვლები; პროექტის მართვის საფუძვლები; სტატისტიკის საფუძვლები; მარკეტინგის საფუძვლები და სხვ.) გადახედვა უფრო შესაბამისი შეფასების ფორმების დამატების თვალსაზრისით (განსაკუთრებით, დეტალურად აღწერილი რუბრიკები), სტუდენტების კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და პრაქტიკული გადაწყვეტილების მიღების უნარების განვითარებისთვის და როგორც კურსის, ისე პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის;
9. რეკომენდებულია საბოლოო სადიპლომო ნაშრომის წარდგენა ან სხვა მექანიზმების შექმნა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად, რათა დაკმაყოფილდეს სტანდარტის მოთხოვნები;
10. რეკომენდებულია სილაბუსების გადახედვა (განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, სადაც გუნდური მუშაობა/ჯგუფური პრეზენტაცია/პროექტი გამოიყენება შეფასების მეთოდად) სწავლების მეთოდებისა და შეფასების ინსტრუმენტების/რუბრიკების დეტალური აღწერის თვალსაზრისით.

რჩევები:

1. სასურველია, მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამების სასწავლო გეგმის გადახედვა და ძირითადი სპეციალობის ზოგიერთი არჩევითი კურსის (მაგ. - "მენეჯერული აღრიცხვის საფუძვლები", "გაყიდვების მენეჯმენტის საფუძვლები", "მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი", "კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა") ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსებად შეთავაზება;
2. სასურველია, პროგრამის განახლება და უფრო თანამედროვე კურსების (ან თემების) დამატება, როგორცაა ბიზნესის/ორგანიზაციების ციფრული ტრანსფორმაცია, მონაცემთა ანალიტიკა, სტრატეგიული ინოვაციები და ცვლილებების მენეჯმენტი და სხვ.;
3. სასურველია, არჩევითი კურსების გაფართოება, რაც სტუდენტებს მისცემს უფრო სპეციალიზებული ცოდნისა და უნარების მიღების შესაძლებლობას, რომელიც მორგებული იქნება ინდუსტრიის მზარდ საჭიროებებსა და თანამედროვე ორგანიზაციული მენეჯმენტის აქტუალურ საკითხებზე;
4. მითითებული მიზნების უფრო ეფექტურად მისაღწევად და კურსდამთავრებულთა სწრაფად ცვალებადი ბიზნეს სამყაროსთვის რეალური მომზადების უზრუნველსაყოფად, სასურველია პროგრამის ან შესაბამისი კურსების გამდიდრება ისეთი თემებით/საკითხებით, რომლებიც უკავშირდება ორგანიზაციულ განვითარებასა და ცვლილებების მართვას; რისკების ან/და კრიზისების მართვას; ხარისხის მენეჯმენტს; ორგანიზაციულ ლიდერობას (და ა.შ.), რომლებიც სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება თანამედროვე ბიზნეს ოპერაციებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
5. სასურველია პროექტების მართვის საფუძვლების კურსისთვის წინაპირობად განისაზღვროს ოპერაციების მართვის საფუძვლები;
6. სასურველია, უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება დაუთმოს უნივერსიტეტში მოქმედ დაგეგმვის მექანიზმსა და მეთოდოლოგიას, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ოპტიმალური თანაფარდობის უზრუნველსაყოფად;

7. სასურველია, მეტი სტუდენტის ჩართვა კვლევით პროექტებში, პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად;
8. სასურველია, სასწავლო პროგრამების 1-2 კურსს შეფასების სავალდებულო კომპონენტად დაემატოს სემესტრული პროექტი;
9. სასურველია, პრაქტიკის/სტაჟირების კომპონენტი გახდეს სავალდებულო;
10. სასურველია უნივერსიტეტმა ყურადღება მიაქციოს აკადემიური პერსონალის შენარჩუნებას;
11. სასურველია უნივერსიტეტმა ყურადღება მიაქციოს მოწვეული პერსონალის შენარჩუნებას, განსაკუთრებით სამაგისტრო პროგრამებისთვის.

პროგრამა 2: მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა) ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

აკრედიტაციის საბჭომ, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო დოკუმენტაციის შეფასების და ზეპირი მოსმენის დროს გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე, ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და რეკომენდაციები, კერძოდ 1.3 კომპონენტში დაამატა კლასტერული რეკომენდაცია, შედეგად 1.3 კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნულმა არ შეცვალა პირველი სტანდარტის შეფასება და ის „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "მენეჯმენტის (ძირითადი სპეციალობა)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2031 წლის 30 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

